შიდა/შიდა კონფიდენციალურობა არეგულირებს ინფორმაციის ნაკადს უშუალოდ მედიაციის პროცესში მონაწილე პირთა შორის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირადი შეხვედრების (*caucus sessions*) ფარგლებში; მედიაციის ინსტიტუციონალური წესები ხშირად არ მოიცავენ კონფიდენციალურობის აღნიშნულ ასპექტს, რადგან მას მიიჩნევენ მედიატორისა და მხარეების მიერ დასარეგულირებელ პროცედურულ საკითხად.

---

<sup>26</sup> *Nadja M.A.*, *International and Comparative Mediation: Legal Perspectives*, Kluwer Law International, 2009, 248.

<sup>27</sup> *Austrian Mediation Act (Law on Mediation in Civil Law Matters)*. 6 June 2003, <<http://www.arbiter.com.sg/pdf/laws/AustrianMediationAct2003.pdf>>, [16.11.2017].

შიდა/შიდა კონფიდენციალურობის გამოყენებისას მედიატორები ხელმძღვანელობენ ღია კომუნიკაციის (*open communications approach*) ან კონფიდენციალურობის (*in-confidence approach*) მიდგომით. პირველი არ თვლის შეხვედრებზე გამჟღავნებულ ინფორმაციას კონფიდენციალურად თუ მხარემ მედიატორს არ განუცხადა, რომ სურს ამ კონკრეტული ფაქტების კონფიდენციალურობის დაცვა. მეორე, კონფიდენციალურობის მიდგომა ყველა მიწოდებულ ინფორმაციას კონფიდენციალურად აცხადებს და მედიატორს აძლევს მათი გამჟღავნების უფლებას მხოლოდ მხარის თანხმობის შემთხვევაში.<sup>28</sup>

### **3. შიდა/სასამართლო კონფიდენციალურობა (*Insider/Court Confidentiality*);**

მედიაციის მხარეებისა და მათი ადვოკატებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხია მედიაციის პროცესში გამჟღავნებული ფაქტების სამოქალაქო ან სისხლის სამართალწარმოებაში მათ წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობა. რელევანტური ინფორმაციის წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს დოკუმენტებს, ჩანაწერებს, მხარეთა ქცევაზე მედიატორის დაკვირვებებს, მხარეთა მიერ წარდგენილ შეთავაზებებსა და მიზეზებს თუ რატომ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმებაშიდა/სასამართლო კონფიდენციალურობა იცავს მედიაციის პროცესში გამჟღავნებული/მიღებული ინფორმაციის სასამართლოსა თუ სხვა სახის წარმოებაში მტკიცებულებად წარდგენისაგან. აღნიშნული კონფიდენციალურობის ტიპი შიდა/გარე კონფიდენციალურობის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც ასახულია მედიაციის შესახებ ევროპულ დირექტივაში,<sup>29</sup> მედიაციის უნიფიცირებულ აქტსა (*Uniform Mediation Act*) და მოდერულ კანონში საერთაშორისო სავაჭრო კონსილიაციის შესახებ

<sup>28</sup> Govori Z., Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, International Hellenic University, 2016, 7.

<sup>29</sup> Directive 2008/52/EC of the European Parliament and the Council of 21 May 2008, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32008L0052>>, [17.11.2017].

(MLICC).<sup>30</sup> კონფიდენციალურობის ამ ასპექტმა გამოიწვია ყველაზე დიდი დაპირისპირება, რადგან ის კვეთს მედიაციის პროცესსა და სასამართლო სისტემას შორის არსებულ ზღვარს. „სასამართლოები არ არიან შებოჭილები მხარეთა შორის არსებული კონფიდენციალურობის შეთანხმებით, შესაბამისად, მომდევნო სასამართლო პროცესებზე წარდგენისგან კომუნიკაციების დაცვის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვრცელდება ამ საკითხებზე კონფიდენციალურობის დაცვიდან გამონაკლისები“.<sup>31</sup> შედეგად, იქმნება პოტენციურად კომპლექსურ მტკიცებულებათა დაშვება/დაუშვებლობის შესახებ პრობლემის განხილვის აუცილებლობა.<sup>32</sup>

### 3. კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა

მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის ეფექტური დაცვისთვის აუცილებელია ფართომასშტაბიანი „კონფიდენციალურობის პრივილეგიის“ არსებობა. წერილობითი ფორმით თუ ზეპირსიტყვიერად გადმოცემული მოლაპარაკების ყველა დეტალი, რომელიც მიმართულია შეთანხმების მიღწევისკენ, მხარეთა საწინააღმდეგოდ არ უნდა იყოს გამოყენებული სასამართლო პროცესის ფარგლებში.<sup>33</sup> აღნიშნულს სხვაგვარად “ზიანის გარეშე” წესს („without prejudice rule“) უწოდებენ. მედიაციაში ის ხშირად განმტკიცებულია იმ წერილობით შეთანხმებებში, რომლებიც გამოხატავენ კონფიდენციალურობის დაცვის პირობას.<sup>34</sup> თუმცა, როგორც ყველა ზოგად წესს, კონფიდენციალურობის პრივილეგი-

<sup>30</sup> MLICC-ის (Model Law on International Commercial Conciliation) მე-10 მუხლი, <[https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03\\_90953\\_Ebook.pdf](https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03_90953_Ebook.pdf)>, [17.11.2017].

<sup>31</sup> თვაური რ., კონფიდენციალურობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - წელიწდეული“, 2015, 33.

<sup>32</sup> Nadja M.A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Kluwer Law International, 2009, 251.

<sup>33</sup> Rush & Tompkins Ltd v. GLC [1988] 3 All ER 737.

<sup>34</sup> Aird v. Orime Meidian Ltd [2006] EWCA Civ 1866.



ასაც გააჩნია გამონაკლისები, რომლებიც მნიშვნელოვანია მედიაციის გამოყენების წახალისებისთვის. „ბლანკეტურ“ წესს გამონაკლისი რომ არ ჰქონდეს, დაუცველი აღმოჩნდებოდნენ მედიატორი ან მოდავე მხარეები, ან უდანაშაულო მესამე პირები, მაგალითად, ბავშვები საოჯახო სამართლის მედიაციაში.<sup>35</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა, აგრეთვე, აუცილებელია იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული სამედიაციო შეთანხმების მისაღწევად სხვა ორმხრივი მოლაპარაკებების გარდაქმნა მტკიცებულებათა „შავ ხვრელად“. პრივილეგია, რომელიც წარმოიშობა „ზიანის გარეშე“ („without prejudice“) წესის საფარველიდან, არ შეიძლება იყოს ბოროტად გამოყენებული სასამართლოს შეცდომაში შეყვანის მიზნით.<sup>36</sup> ამდენად, მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის დაცვამ დაუშვებელია მიიღოს აბსოლუტური ხასიათი. იმავდროულად, პროცესი არ უნდა გახდეს იმ მონაწილის „თავშესაფარი“, რომელმაც დანაშაული თუ სხვა უმართლობა ჩაიდინა.<sup>37</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპიდან შეიძლება არსებობდეს ვალიდური გამონაკლისები თუმცა ეს ყოველივე ნათლად და გარკვევით სასამართლო პრაქტიკით ან კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი.<sup>38</sup> შესაძლებელია დასახელდეს რამდენიმე შეზღუდვის საფუძველი:

<sup>35</sup> Macturk C.H., Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception. American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, 1995, 426-427, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>, [18.11.2017].

<sup>36</sup> Limbury L.A., Should Mediation Be An Evidentiary ‘Black Hole’?, UNSW Law Journal, Vol. 35(3), 2012, 917, <<http://www.austlii.edu.au/journals/UNSWLawJl/2012/38.pdf>> [18.11.2017].

<sup>37</sup> Morek R., Nihil silentio utilius: Confidentiality In Mediation And Its Legal Safeguards In The EU Member States, 2013, 432, <<https://link.springer.com/content/pdf/10.1007%2Fs12027-013-0317-9.pdf>>, [18.11.2017].

<sup>38</sup> თვაური რ., კონფიდენციალურობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2015, 24.

## 1. პოტენციური საფრთხე;

საფრთხის შესახებ პირის გაფრთხილების ვალდებულება ხაზგასმულია საქმეში *Tarasoff v. Regents*. აღნიშნული საქმის მიხედვით, ფსიქოლოგს მისმა კლიენტმა გაანდო მესამე პირის მკვლელობის სურვილი, თუმცა, შეხვედრების კონფიდენციალურობიდან გამომდინარე, ფსიქოლოგს მესამე პირი შესაძლო საფრთხის არსებობის შესახებ არ გაუფრთხილებია. კლიენტმა მოკლა მუქარის ადრესატი. სასამართლომ დაანესა იდენტიფიცირებადი პირისათვის სერიოზული ფიზიკური ძალადობის ან მკვლელობის მუქარის გაფრთხილების ვალდებულება. საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება იყო ის, რომ მოცემულ შემთხვევაში ფსიქოთერაპევტ-პაციენტის პრივილეგია და პროფესიონალური ეთიკის სტანდარტები იძლეოდა ფსიქოლოგის მიერ ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას. მსგავსი შედეგის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო საქმის არგუმენტაციის გავრცელება მედიაციის პროცესზე. ამის გათვალისწინებით, არაერთი მედიაციის აქტი უშვებს კონფიდენციალურობის შეზღუდვას სერიოზული ფიზიკური ძალადობისა და საფრთხის არსებობის პირობებში.<sup>39</sup> მედიაციის უნიფიცირებული აქტი დასაშვებად მიიჩნევს მედიატორის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევას მკვლელობის თუ სხვა სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის გამჟღავნება იღებს ვალდებულების სახეს, მაგალითად, ბავშვზე ძალადობის ან სპეციფიკური და გარდაუვალი საფრთხის არსებობისას.<sup>40</sup>

<sup>39</sup> *Kirtley A.*, The Mediation Privilege’s Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilege Standard to Protect Mediation Participants, the Process and the Public Interest, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 1995, 48, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1291&context=jdr>>, [19.11.2017].

<sup>40</sup> *Burnley R., Lascelles G.*, Mediator Confidentiality – Conduct and Communications, *Arbitration*, London, 2004, 8, <[https://www.cedr.com/library/articles/Mediator\\_confidentiality\\_SJBerwin.pdf](https://www.cedr.com/library/articles/Mediator_confidentiality_SJBerwin.pdf)>, [19.11.2017].

## 2. დანაშაულის არსებობის ან შესაძლო ჩადენის ფაქტის შესახებ ინფორმაცია;

კონფიდენციალურობის საგამონაკლისო შეზღუდვას ექვემდებარება მედიაციის კომუნიკაცია, „რომელიც მიზანმიმართულად გამოიყენება დანაშაულის დაგეგმვის, მისი ჩადენის ან ჩადენის მცდელობის, მიმდინარე კრიმინალურ ქმედებათა დაფარვის, ან ძალადობის მუქარისთვის.“<sup>41</sup> შეტყობინების ვალდებულება შესაძლოა წარმოშვას სერიოზული დანაშაულის ან საფრთხის შესახებ მხოლოდ გონივრულმა ეჭვმა.<sup>42</sup>

## 3. შეთანხმების მიღწევის, დამტკიცების ან უარყოფის მიზანი;

კონფიდენციალურობის გამონაკლისი ხშირად გამოწვეულია მედიაციის პროცესის შემდგომი ქმედებებით, რომლებიც მიმართულია შეთანხმების მიღწევის დამტკიცების ან უარყოფის, ან მეორე მხარის სანქცირების საფუძველის შექმნისკენ. მაგალითისთვის საერთაშორისო სავაჭრო კონსილიაციის შესახებ მოდელური კანონის (*MLICC*) მეათე მუხლის მესამე ნაწილი უზრუნველყოფს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასა და მის მტკიცებულებად ცნობას „შეთანხმების იმპლემენტაციისა და მისი იძულებითი აღსრულების მიზნით“. მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივა მოიცავს მსგავს შეზღუდვის საფუძველს. კანადის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა რომ მოლაპარაკების პრივილეგია „ხელს უწყობს გულწრფელ დისკუსიას მხარეებს შორის, რაც შეთანხმების მიღწევას აადვილებს“ და აგრეთვე, „ასეთი შეთანხმებების მხარდაჭერა სასამართლო სისტემის დატვირთულობიდან გამომდინარე პრიორიტეტულია. შეთანხმების პრივილეგია სწორედ ამ მიზეზით არის აღიარებული“. სასამართლომ განმარტა რომ „კომუნიკაცია, რომელიც მი-

<sup>41</sup> *Tetunic L.F.*, Act Deux: Confidentiality Adter the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, *Nova Law Review*, Vol. 36, Issue 1, 2011, 83, <<http://nsuworks.nova.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1061&context=nlr>>, [21.17.2017].

<sup>42</sup> *Burnley R., Lascelles G.*, *Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration*, London, 2004, 9.

მდინარეობდა შეთანხმების მიღწევამდე, კარგავს კონფიდენციალურობის პრივილეგიას თუ ეს აუცილებელია შეთანხმების ან მისი ფარგლების არსებობის დამტკიცებისთვის. როგორც კი მხარეები შეთანხმდებიან გარკვეულ პირობებზე, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების ნახალისების საზოგადო ინტერესი მოითხოვს აღნიშნულ შეთანხმების პირობათა მტკიცების რეალურ შესაძლებლობას. წესი დასაშვებია, რამდენადაც ის ემსახურება იმავე მიზანს, რასაც თავად კონფიდენციალურობის პრივილეგია: მსგავსი მოლაპარაკებების ნახალისებას.<sup>43</sup>

#### **4. პროფესიული ქცევის წესების დარღვევის შესახებ ინფორმაცია;**

მედიაციის პროცესში შესაძლოა მედიატორმა შეიტყოს ადვოკატის (ან სხვა პროფესიონალის მიერ) პროფესიული ქცევის წესების დარღვევის ფაქტი. მედიატორს, მისი საზოგადოებრივი როლიდან და დარღვევის სერიოზულობიდან გამომდინარე შესაძლოა ჰქონდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს შეტყობინების დისკრეტია. უფრო საკამათო საკითხია დაუდევარი რჩევის მიცემის (*Nigligent Advice*) შემთხვევაში შეტყობინების დასაშვებობა. ეს, თავის მხრივ, იქნება მხარის ინტერესების დაცვის მექანიზმი, მაგრამ აღნიშნული შეზღუდვის საფუძველი არის სუბიექტური და შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს მედიატორის მიუკერძოებლობა. მსგავსი პრობლემის გადასაწყვეტად რეკომენდირებულია მედიატორმა მედიაციის პროცესის ფარგლებში ჩვეულებრივი მეთოდების გამოყენებით იხელმძღვანელოს.<sup>44</sup>

#### **4. ქართული საკანონმდებლო რეალობა**

მედიაციას არაერთი უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ სასამართლო პროცესთან შედარებით. სასამართლო პროცესი ქმნის სტრესულ, ძვირადღირებულ და არაპროგნოზირებად გარემოს,

<sup>43</sup> Union Carbide Canada Inc. v. Bombardier Inc, 2014 SCC 35.

<sup>44</sup> *Burnley R., Lascelles G., Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration, London, 2004, 12.*

რომლის ფარგლებშიც მოსამართლე ერთპიროვნულად წყვეტს საქმის ბედს. ამის საპირისპიროდ მედიაცია არის კომუნიკაცია, რომელსაც უძღვება მესამე ნეიტრალური პირი. მხარეებს აქვთ ობიექტური შესაძლებლობა გავლენა იქონიონ საბოლოო შეთანხმების მიღწევაზე. მედიაცია გაცილებით იაფი და ეფექტურია, თუმცა ის დაკავშირებულია მხარეთათვის ხშირად არასასურველი და პოტენციური საფრთხის შემცველი ინფორმაციის გამჟღავნებასთან. ამგვარად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას. მიუხედავად მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის ფუნდამენტური მნიშვნელობისა, საქართველოში დღეს არსებული საკანონმდებლო რეგულირება ძალზედ ზოგადი და მშრალია.<sup>45</sup> ამასთან, პრაქტიკაში პრობლემებს წარმოშობს ის ფაქტი, რომ ხშირად მხარეებს შორის სახელშეკრულებო შეთანხმებითარაა სრულყოფილად მოწესრიგებული მედიაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები. კონფიდენციალურობის შეთანხმების მოცულობის საგნობრივი შემოფარგვლის გვერდით რთულია პროცესში გამჟღავნებული ინფორმაციის მხარის ინტერესების სანიშნა-ალმდეგოდ გამოყენებისას ეფექტური სანქციების განსაზღვრა. ამ ფონზე მიზანშეწონილია კონფიდენციალურობის სამართლებრივი დაცვის გაფართოება.<sup>46</sup> მართალია, დაუშვებელია კონფიდენციალურობის ზედმეტად ფართო რეგულირება, მაგრამ, ამავდროულად, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს პროცესისათვის არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების საიმედოდ დაცვის გარანტიებს.

### ვინ არის ვალდებული დაიცვას კონფიდენციალურობა?

მიუხედავად იმისა რომ მედიაციის პროცესი არ არის საჯარო, პირთა გარკვეულ ჯგუფს აქვს შესაძლებლობა გაიგონ მის ფარგლებში მიმდინარე დისკუსიის შინაარსი. ეს ჯგუფი მოიცავს: მხა-

<sup>45</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 32.

<sup>46</sup> *Masser K., Engewald B., Scharpf L., Ziekow J.*, Evaluierung des Mediationsgesetzes, Rechtstatsachliche Untersuchung im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz, Speyer, 2017, 35.

რეებს, მედიატორებს, მრჩეველებს, ექსპერტებს, მოსამართლეებს (სასამართლო მედიაციის ან მედიაციის ინფორმაციის სასამართლოში გამჟღავნების შემთხვევაში), აგრეთვე, დამატებით პერსონალს (ასისტენტები, თარჯიმნები და სხვა). ევროპული დირექტივის თანახმად იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალურობა შედარებით მცირეა და ვრცელდება მხოლოდ „მედიატორსა და მედიაციის ადმინისტრირებაში მონაწილე სხვა პირებზე“. დირექტივის აღნიშნული დათქმის პირდაპირი მნიშვნელობით მედიაციის პროცესის მხარეები არ არიან შეზღუდული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებით. ასეთი რეგულირება წარმოშობს მნიშვნელოვან ეჭვს. კონფიდენციალურობისთვის ყველაზე რელევანტური საფრთხე მომდინარეობს არა მედიატორის (ის არ არის პოტენციური მონმე შემდგომ სასამართლო პროცესში), არამედ მხარეებისგან. ხშირ შემთხვევებში მათ საერთოდ არ სჭირდებათ მედიატორი და შეუძლიათ საკუთარი ძალებით წარადგინონ კონფიდენციალური ინფორმაცია სასამართლოში, არბიტრაჟსა თუ სხვა სახის წარმოებაში.

UNCITRAL მოდელური კანონი დირექტივასთან შედარებით ფართო მიდგომას ამკვიდრებს. ის აწესებს არამარტო მხარეთა მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას,<sup>47</sup> არამედ ჩამონათვალში მათ მედიატორზე წინ აყენებს.

საქართველოში სასამართლო მედიაციის კონფიდენციალურობის სამართლებრივი რეგულირება კანონმდებელმა შემოგვთავაზა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187<sup>8</sup>-ე მუხლში, რომლის თანახმად, კონფიდენციალურობის დაცვა ევალებათ როგორც მედიაციის პროცესში მონაწილეებს, ასევე მედიაციის წარმმართველ მედიატორსაც. სასურველია კანონმა დეტალურად განსაზღვროს მედიაციის პროცესის დროს მიღებული ინფორმაციის გამოყენების პირობები: მედიაციაში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, აგრეთვე პირებს, რომლებისთვისაც საქმიანობიდან გამომდინარე მედიაციის პროცესში ცნობილი გახდა ესა თუ ის ინფორმაცია ან/და გარემოება, უფლება არ უნდა ჰქონდეთ

<sup>47</sup> UNCITRAL მოდელური კანონის მეათე მუხლის პირველი ნაწილი: „მხარე, შუამავალი (მედიატორი) და ნებისმიერი მესამე პირი, რომლებიც მონაწილეობენ პროცესის ადმინისტრირებაში“.

გაამჟღავნონ ან ჩვენება მისცენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში, არბიტრაჟი, ან ნებისმიერი სხვა სახის წარმოებაში.<sup>48</sup> ეს გაზრდის მედიაციის ინსტიტუტის მიმართ ნდობის ფაქტორს საზოგადოებაში და იმავდროულად, გაამყარებს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის მექანიზმს.

### **რა ინფორმაცია არის დაცული კონფიდენციალურობის პრინციპით?**

მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობა შესაძლოა გავრცელდეს სხვადასხვა სახის კომუნიკაციასა და ინფორმაციაზე, მათ შორის, ფაქტობრივ განცხადებებზე, შემოთავაზებებსა და შეხვედრაზე მხარეთა მიერ გამჟღავნებულ სხვა დეტალებზე.<sup>49</sup> კონფიდენციალური ინფორმაციის ფარგლების დადგენისას სასურველია კანონმდებელმა გაითვალისწინოს შემდეგი ორი საკითხი: 1. უპირველეს ყოვლისა, არსებობს მედიაციის პროცესში გაცემული სხვადასხვა სახის ინფორმაციისა და კომუნიკაციის გათვალისწინების საჭიროება. აღნიშნული მიზანი შეიძლება მიღწეული იყოს ფართო ფორმულირების ჩამოყალიბებით;<sup>50</sup> 2. იმავდროულად, შესაძლოა მონაწილემ ინფორმაცია მედიაციის პროცესში გაამჟღავნოს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მომავალში აცილებული იყოს მისი სასამართლო თუ სხვა სახის წარმოებაში მტკიცებულებად წარდგენა (კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის სპეციფიკიდან გამომდინარე). ამ საკითხს ეხება UNCITRAL მოდელური კანონის მეათე მუხლის მეხუთე ნაწილი: „მტკიცებულება, რომელიც სხვაგვარად დასაშვებია არბიტრაჟში, სასამართლო თუ სხვა სახის წარმოებაში არ შეიძლება გახდეს დაუშვებელი მხოლოდ იმ

<sup>48</sup> *ცერცვაძე გ.*, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 33.

<sup>49</sup> *Reichert K.*, Confidentiality in International Mediation, Dispute Resolution Journal, Vol. 59, 2004, 60.

<sup>50</sup> ასეთი ფართო ფორმულირება მოცემულია ევროპული დირექტივის მეშვიდე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად კონფიდენციალურია „ინფორმაცია, რომელიც მომდინარეობს ან დაკავშირებულია მედიაციის პროცესთან“.



მიზეზით რომ ის გამოყენებული იყო კონსილიაციის პროცესში<sup>51</sup> ევროპული დირექტივა და მონაწილე სახელმწიფოთა ეროვნული სამართლის უმრავლესობა არ შეიცავს მსგავსს დათქმას. ამდენად, სასურველია ასეთი დანაწესი გათვალისწინებული იყოს ქართულ კანონმდებლობაში.

### **კონფიდენციალურობის შეზღუდვის საფუძვლების რეგულირება;**

კონფიდენციალურობის დაცვა მედიაციის პროცესის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს და მისი დაცვის უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია მედიაციის ჯეროვანი პროცესის ჩატარება. აღნიშნული საკითხი გათვალისწინა ქართველმა კანონმდებელმა, რაც კარგად ჩანს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე, 141-ე და 187<sup>8</sup>-ე მუხლებში. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის მიხედვით, სამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციას და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. 187<sup>8</sup>-ე მუხლი უკრძალავს როგორც მხარეებს, ისე მედიატორს მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო 141-ე მუხლით, მედიატორი არ შეიძლება დაკითხულ იქნეს ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას.<sup>52</sup> თუმცა ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას დაუშვას კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვა. ასეთი დათქმა მოცემულია ევროპული დირექტივის მეშვიდე მუხლში, რომლის თანახმად მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობა უნდა იყოს დაცული, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც: 1. არსებობს უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი; 2. ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებ-

<sup>51</sup> *Morek R., Nihil silentio utilius: confidentiality in mediation and its legal safeguards in the EU Member States, Academy of European Law, 2013, 428-429.*

<sup>52</sup> *წულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბ., 2016, 132.*



ბელია შეთანხმების პირობების იძულებითი აღსრულებისთვის; 3. გამჟღავნება ხდება მხარეთა შეთანხმებით.

ამდენად, კონფიდენციალურობის რეგულირების დროს მთავარი სირთულე ბალანსის შენარჩუნებაა. ერთიმხრივ, მედიაციის პროცესისთვის აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებას შეიძლება ესაჭიროებოდეს მედიაციის პროცესზე გამჟღავნებული ინფორმაციის ცოდნა. შესაბამისად, კანონმდებელმა ოქროს შუალედი უნდა იპოვოს ისე, რომ არც ერთი მხარე არ დარჩეს დაზარალებული.<sup>53</sup> საქართველოში მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეთა ინტერესების მომავალი დაცვისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის რეკომენდებულია ევროპული დირექტივის მსგავსი დანაწესის შემოღება.

## 5. დასკვნა

მედიაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის უნიკალური პროცესია, რომლის ფარგლებში მხარეები მონაწილეობას იღებენ ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებაზე ორიენტირებული შეთანხმების მიღწევის პროცესში და თავად განსაზღვრავენ აღნიშნული შეთანხმების პირობებს. სასამართლო პროცესისგან განსხვავებით მედიაცია არ არის დროში განელილი და ქმნის შედარებით იაფ, მშვიდ და ეფექტურ გარემოს. ეფექტური შეთანხმების მიღწევისთვის ხშირად აუცილებელია მხარეთა მიერ მათთვის გასამჟღავნებლად რასასურველი ინფორმაციის გაზიარება მედიაციის პროცესში, რასაც, თავის მხრივ, უპირისპირდება მხარეთა ლეგიტიმური მოლოდინი დაცული იქნეს აღნიშნული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი პროცესის მონაწილეებს სწორედ ამ გარანტიას უქმნის. ამდენად, კონფიდენციალურობა მედიაციის პროცესის განუყოფელი და აუცილებელი ელემენტია, რომელიც აძლიერებს ნდობის ფაქტორსა და მიუკერძოებლობის შესახებ რწმენას. ასევე, ის უზრუნველყოფს მედიაციის პროცესისთვის დამახასიათებელ „საიდუმლო სფეროს“ დაცვასა და მხარეებს შორის მიმდინარე ურთიერთობების შენარჩუნებას. თუმცა, ამავდროულად, მედიაციის არაერთი აქტი აღია-

<sup>53</sup> იქვე, 19.

რებს, რომ აბსოლუტური კონფიდენციალურობა შესაძლოა მძიმე ტვირთად დაანვეს საზოგადოებას და გამოიწვიოს პრობლემური შედეგები.

ამასთანავე, საჭიროა მედიაციის კონფიდენციალურობის დაცვისა და სასამართლოში დაცული ინფორმაციის გამჟღავნების ინტერესებს შორის „ოქროს შუალედის“ პოვნა, რაც ყველაზე მარტივად საკანონმდებლო დონეზე მიიღწევა. ქართველმა კანონმდებელმა უნდა გაიზიაროს უცხოური სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის გამოცდილება და გაითვალისწინოს შეზღუდვის კონკრეტული საფუძვლები, რაც მოიცავს: პოტენციური საფრთხისა და დანაშაულის არსებობის ან მისი შესაძლო ჩადენის ფაქტის, პროფესიული ქცევის წესების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, აგრეთვე, შეთანხმების მიღწევის, დამტკიცების ან უარყოფის მიზნის განსახორციელებლად კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვას. არაერთი აქტი გამოჩინდა სახით ასევე ითვალისწინებს მოსამართლეების დისკრეციულ უფლებამოსილებას შეაფასოსგადანონის თუ არა ინფორმაციის მტკიცებულებად წარდგენის საჭიროება კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპს. აღნიშნული გამოჩინდა განპირობებულია იმ ინდივიდუალური შემთხვევებისთვის, რომლებიც მართალია არ ექვემდებარება შეზღუდვის საფუძვლების ზოგად ჩამონათვალს, თუმცა გამოკვეთილია კონფიდენციალურობის პრინციპის შეზღუდვის მიმართ არსებული აშკარა და აუცილებელი ინტერესი. ამდენად, ეს მიდგომა იძლევა ორი ურთიერთდაპირისპირებული ინტერესის შედარებისა და მათი დაბალანსების საფუძველზე კონფიდენციალურობის დაცვისა თუ შეზღუდვის საკითხის გადანყვეტის შესაძლებლობას. მართალია, შესაძლოა მხარეებმა კონფიდენციალურობის დაცვა შეთანხმებით მოაწესრიგონ, მაგრამ მათ შორის დადებულ ხელშეკრულებაში ხარვეზის შემთხვევაში არსებობს მეორე მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედებისგან პირის დაუცველობის ობიექტური საფრთხე, რაც საბოლოო ჯამში, აგრეთვე იმოქმედებს მედიაციის მიმართ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების ფორმირებაზე. ამგვარად, აუცილებელია მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკის გარკვეული საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც

ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა გონივრულ გათვალისწინებასთან ერთად გაამარტივებს მედიაციის კონფიდენციალურობის დაცვასა და სასამართლოს მიერ დაცული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას შორის ბალანსის დამყარებას.

### ბიბლიოგრაფია

1. MLICC-ის (Model Law on International Commercial Conciliation) მე-10 მუხლი, <[https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953\\_Ebook.pdf](https://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953_Ebook.pdf)>.
2. UNCITRAL მოდელური კანონის მეათე მუხლის პირველი ნაწილი: „მხარე, შუამავალი (მედიატორი) და ნებისმიერი მესამე პირი, რომლებიც მონაწილეობენ პროცესის ადმინისტრირებაში“.
3. ელოშვილი ნ., კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2013, 8.
4. თვაური რ., კონფიდენციალურობის პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა - ნელინდეული“, 2015, 24, 27, 33.
5. ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016, 34.
6. ცერცვაძე გ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 25, 32, 33.
7. ნულაძე ა., სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევროპაში, თბ., 2016, 19, 132.
8. Austrian Mediation Act (Law on Mediation in Civil Law Matters). 6 June 2003, <<http://www.arbiter.com.sg/pdf/laws/AustrianMediationAct2003.pdf>>.
9. Directive 2008/52/EC of the European Parliament and the Council of 21 May 2008, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX%3A32008L0052>>.
10. Burnley R., Lascelles G., Mediator Confidentiality – Conduct and Communications, Arbitration, 2004, 8, 9, 12, <[https://www.cedr.com/library/articles/Mediator\\_confidentiality\\_SJBerwin.pdf](https://www.cedr.com/library/articles/Mediator_confidentiality_SJBerwin.pdf)>.

11. *Brown K.L.*, Confidentiality in Mediation: Status and Implications, *Journal of Dispute Resolution*, Vol. 1991, 4, <[http:// heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jdisres1991&div=21&id=&page=](http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jdisres1991&div=21&id=&page=)>.
12. *Deason E.E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal On Dispute Resolution*, 2002, 240, <[http:// heinonline.org/HOL/LandingPage? handle= hein. journals/ohjdr17&div=18&id=&page=](http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/ohjdr17&div=18&id=&page=)>.
13. *Field R., Wood N.*, Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality, *Field & Wood*, 2005, 144, <<https://lr.law.qut.edu.au/article/download/210/204/>>.
14. *Foster Noble T, Prentice S.*, The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners' Perceptions, „*Journal of Dispute Resolution*“, 2009, 1, <[http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi? article=1568&context=jdr](http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1568&context=jdr)>.
15. *Freedman R.L., Prigoff L. M.*, Confidentiality in Mediation: The Need For Protection, *Journal On Dispute Resolution*, Vol. 2:1, 1986, 37, <[https:// kb.osu.edu/dspace/bitstream/ handle/ 1811/ 76172/OSJDR\\_V2N1\\_037.pdf?sequence=1](https://kb.osu.edu/dspace/bitstream/handle/1811/76172/OSJDR_V2N1_037.pdf?sequence=1)>.
16. *Govori Z.*, Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, *International Hellenic University*, 2016, 7.
17. *Hamilton W.J.*, Protecting Confidentiality in Mandatory Mediation: Lessons from Ontario and Saskatchewan, *Queen's Law Journal*, Spring 1999, 569, <[http://heinonline.org/HOL/LandingPage? handle= hein.journals/queen24&div=19&id=&page=](http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/queen24&div=19&id=&page=)>.
18. *Hopt J.K., Steffek F.*, *Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective*, Oxford University Press, 2013, 180.
19. *Jr. Johnson D.P.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act, *Florida State University Law Review*, Vol. 30, 2003, 489, <<http://ir.law.fsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1586&context=lr>>.
20. *Kentra A.P.*, Hear No Evil, See no Evil, Speak No Evil: The Intolerable Conflict for Attorney-Mediators Between the Duty to Maintain Mediation Confidentiality and the Duty to Report Fellow Attorney Misconduct, *BYU Law Review*, 1997, 722, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/byulr1997&div=31&id=&page=>>.
21. *Kirtley A.*, The Mediation Privilege's Transition from Theory to Implementation: Designing a Mediation Privilege Standard to Protect Me-

- diation Participants, the Process and the Public Interest, Journal of Dispute Resolution, Vol. 1995, 48.
22. *Limbury L.A.*, Should Mediation Be An Evidentiary 'Black Hole'?, „UNSW Law Journal“, Vol. 35(3), 2012, 917, <[http:// www. austlii.edu.au/au/journals/UNSWLawJl/2012/38.pdf](http://www.austlii.edu.au/au/journals/UNSWLawJl/2012/38.pdf)>.
  23. *Macturk C.H.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, 1995, 412, 415, 426, 427, <[http://heinonline.org/HOL/Page? handle=hein. journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>.
  24. *Masser K., Engewald B., Scharpf L., Ziekow J.*, Evaluierung des Mediationsgesetzes, Rechtstatsachliche Untersuchung im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz, Speyer, 2017, 35.
  25. *Morek R.*, Nihil silentio utilius: Confidentiality in Mediation and its Legal Safeguards in the EU Member States, 2013, 428, 429, 432, <<https://link.springer.com/content/pdf/10.1007%2Fs12027-013-0317-9.pdf>>.
  26. *Nadja M.A.*, International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Kluwer Law International, 2009, 248, 251.
  27. Protecting Confidentiality in Mediation, Harvard Law Review, Vol. 98, no. 2, 1984, 441, (Published by: The Harvard Law Review Association), <[www.jstor.org/stable/1340844](http://www.jstor.org/stable/1340844)>.
  28. *Rabe, S., Wode M.*, Mediation, Heidelberg 2014, 19.
  29. *Reichert K.*, Confidentiality in International Mediation, Dispute Resolution Journal, 2005, 60, 62.
  30. *Rufenacht D.M.*, The Concern over Confidentiality in Mediation - An in-Depth Look at The Protection Provided by the Proposed Uniform Mediation act, Journal of Dispute Resoluion, 2000, 113, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=jdr>>.
  31. *Tetunic L.F.*, Act Deux: Confidentiality Adter the Florida Mediation Confidentiality and Privacy Act, Nova Law Review, Vol. 36, Issue1, 2011, 83, <[http://nsuworks.nova.edu/cgi/viewcontent. cgi? article=1061&context=nlr](http://nsuworks.nova.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1061&context=nlr)>.
  32. *Wykoff A.*, Mediation & Confidentiality, Bond University Student Law Review, Vol. 4, 2016, 2-5, <[http://epublications. bond. edu. au/cgi/viewcontent.cgi?article=1006&context=buslrr](http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1006&context=buslrr)>.
  33. *Zhao Y., Koo A.K.C.*, The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong, Common Law World Review, 2011, 264,

<[http://heinonline.org/HOL/ Page?handle= hein. journals/ comlwr40&div=17&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>.

34. Aird v. Orime Meidian Ltd [2006] EWCA Civ 1866.
35. Anna Kieturakis v. Maciej Jan Kieturkis, (2006).
36. Rush & Tompkins Ltd v. GLC [1988] 3 All ER 737.
37. Union Carbide Canada Inc. v. Bombardier Inc, 2014 SCC 35.

Salome Beradze\*

## Specificity of Confidentiality Protection in Mediation Process

*Mediation itself is a communication directed towards achieving an acceptable agreement for the parties. To the great extent, this process is promoted by the principle of confidentiality. It pushes the parties to disclose often undesirable information for them freely and without any obstacles. One of the aims of the present paper is to ascertain essence and its forms of demonstration of confidentiality in mediation process. With the rise of mediation practice, the necessity of reviewing the absolutism of the principle of confidentiality arises. Georgian legislation does not envisage grounds for limiting this principle and needs improvement in this direction. Therefore, the paper presents exceptions under EU Mediation Directive, Model Law on International Commercial Conciliation and Mediation Unified Act which to some extent will eradicate legislative gaps existing today.*

**Key Words:** Confidentiality Principle, Mediation, Privilege, Regulation of Confidentiality, Limitations to Confidentiality principle, Exceptions to Confidentiality Principle.

### 1. Introduction

Protection of confidentiality is one of the most important problems as in theory and in practice as well. This matter is actual in different spheres out of which providing confidentiality in mediation process is no less important. The thing is that in mediation, its features and legislative grounds for protection are very specific. At the same time, from practical perspective, legal results for breaching the confidentiality are even more interesting.

It is significant that mediation passed through impressive evolution road from once practice causing skepticism to widely recognized their desired outcome believing that information disclosed during mediation process will

---

\* BA Student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law.

not be later used against them.<sup>1</sup>

Besides, in various states regulatory rules for confidentiality principle are different. This issue is even more actual for Georgia as mediation institute is new in Georgian legislation. Nowadays, Georgian legislative regulations are “episodic”. Therefore, it is important to discuss confidentiality principle related to this institute.<sup>2</sup>

The aim of the paper, on the one hand, is to determine concept of confidentiality and forms of its demonstration in mediation and, on the other hand, importance and specificity of its protection in mediation process. One of the outcomes caused by creation of mediation and other alternative dispute resolution tools is conflict between new alternatives, their values and interests of traditional court system. The main example may be conflict between desire to protect confidentiality in mediation process and emphasizing on the proper examination of all possible evidence by the court.<sup>3</sup> Therefore, the values shall be outlined confrontation of which may allow violation of confidentiality principle in courts or other proceedings.

Hence, this paper is an attempt to determine main essence of the problems mentioned above and potential (desirable) proposals for achieving legislative regulations by using dogmatic, comparative, analytical and synthesis methods.

alternative dispute resolution tool and nowadays, it represents an independent, specific sphere. Its fundamentally important principles are: consensual nature of bilateral agreement, confidentiality of the process and replacement of a decision maker with third, neutral party (mediator)<sup>4</sup> who

<sup>1</sup> *Macturk C.H.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, *American Journal of Trial Advocacy*, Vol. 19, 1995, 412, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>, [07.11.2017].

<sup>2</sup> *Eloshvili N.*, Importance of Confidentiality Principle in Mediation Process, *Journ. “Alternative Dispute Resolution – Annual”*, 2013, 8 (in Georgian).

<sup>3</sup> *Freedman R. L., Prigoff L.M.*, Confidentiality in Mediation: The Need For Protection, *Journal On Dispute Resolution*, Vol. 2:1, 1986, 37, <[https://kb.osu.edu/dspace/bitstream/handle/1811/76172/OSJDR\\_V2N1\\_037.pdf?sequence=1](https://kb.osu.edu/dspace/bitstream/handle/1811/76172/OSJDR_V2N1_037.pdf?sequence=1)>, [07.11.2017].

<sup>4</sup> *Field R., Wood N.*, Marketing Mediation Ethically: The Case of Confidentiality, *Field & Wood*, 2005, 144, <<https://lr.law.qut.edu.au/article/download/210/204/>>, [06.11.2017].



helps the parties to reach a desirable, acceptable agreement regarding all or some problematic issues of the dispute.<sup>5</sup> Considering these facts, with the principle of confidentiality non-existence of long-term court proceeding, stressful environment and court fees make mediation a very enchanting alternative.<sup>6</sup>

“Confidentiality” is considered as the privilege to refuse disclosing the facts and is created to maintain “the holiness” of those relationships that rely on trust and need protection.<sup>7</sup> Significance of confidentiality principle in mediation process in axiomatic<sup>8</sup> (it is important and inseparable element of the process) and assists to creation of necessary trustful atmosphere.<sup>9</sup> In addition, confidentiality guarantee offers the parties the secret sphere of negotiations<sup>10</sup> during which opportunity to thoroughly discuss all aspects of relationship existing between the parties and specific circumstances of the dispute is created. The opposing parties slowly reach

---

<sup>5</sup> *Rufenacht D.M.*, The Concern over Confidentiality in Mediation - An in-Depth Look at The Protection Provided by the Proposed Uniform Mediation Act, *Journal of Dispute Resolution*, 2000, 113, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=jdr>>, [06.11.2017].

<sup>6</sup> *Foster-Noble T., Prentice S.*, The Promise of Confidentiality in Mediation: Practitioners’ Perceptions, *Journal of Dispute Resolution*, 2009, 1, <<http://scholarship.law.missouri.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1568&context=jdr>>, [06.11.2017].

<sup>7</sup> *Tsertsvadze G.*, Perspectives of Legal Regulations of Mediation in Georgia, National Center for Alternative Dispute Resolution, Tbilisi, 2013, 25 (in Georgian).

<sup>8</sup> *Deason E.E.*, Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, *Ohio State Journal On Dispute Resolution*, 2002, 240, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/ohjdpr17&div=18&id=&page=>>, [10.11.2017].

<sup>9</sup> Protecting Confidentiality in Mediation, *Harvard Law Review*, Vol. 98, no. 2, 1984, 441 (Published by: The Harvard Law Review Association), <[www.jstor.org/stable/1340844](http://www.jstor.org/stable/1340844)>, [06.11.2017].

<sup>10</sup> *Zhao Y., Koo A.K.C.*, The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong, *Common Law World Review*, 2011, 264, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comlwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>, [07.11.2017].

## 2. Confidentiality as a Mediation Principle

### 2.1. Essence and Signs of Confidentiality

Confidentiality is the primary and fundamental principle of mediation.<sup>11</sup> Joint, integrative (connecting) problem solving oriented mediation process depends on readiness of the parties to disclose their interests and needs, not presenting their position and claims. Identification of essential, procedural and physiological interests determine efficiency of the process. It is possible to reach bilateral agreement acceptable for the parties only after fundamental exploration of these interests. For this existence of some kind of sincerity and trust is mandatory<sup>12</sup> which itself confronts with the legitimate expectation of the parties to protect confidentiality.

This has big importance in legal and practical points of view<sup>13</sup> as mediation would not be effective alternative dispute resolution tool without confidentiality guarantee. The parties would refrain from disclosing information before the person who could later be the witness or the opposing party in the court proceedings.<sup>14</sup> The aim of confidentiality is to reduce fear of disclosing important information for the process as the parties fear their weaknesses and avoid disclosure. A way out shall be found in mediation in order for the parties to disclose confidential information as well. In other

---

<sup>11</sup> *Chitashvili N.*, Regulatory Limits of Mediation Ethics and Addressees Bound by Ethical Standards, "Law Journal", №1, 2016, 34 (in Georgian).

<sup>12</sup> *Hamilton W.J.*, Protecting Confidentiality in Mandatory Mediation: Lessons from Ontario and Saskatchewan, Queen's Law Journal, Spring 1999, 569, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/queen24&div=19&id=&page=>>, [09.11.2017].

<sup>13</sup> *Jr. Johnson D.P.*, Confidentiality in Mediation: What Can Florida Glean from the Uniform Mediation Act, Florida State University Law Review, Vol. 30, 2003, 489, <<http://ir.law.fsu.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1586context=lr>>, [09.11.2017].

<sup>14</sup> *Kentra A.P.*, Hear No Evil, See no Evil, Speak No Evil: The Intolerable Conflict for Attorney-Mediators Between the Duty to Maintain Mediation Confidentiality and the Duty to Report Fellow Attorney Misconduct, BYU Law Review, 1997, 722, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/byulr1997&div=31&id=&page=>>, [11.11.2017].

cases, this may confront with the principle of good faith and informing. If the party cannot succeed in mediation process, the risk exists that the other party will maliciously use received information. It shall be taken into consideration that confidentiality does not refer to information known to the other party or may become known by other allowed ways.<sup>15</sup> Almost absolute term for protection of confidentiality gives the parties the opportunity to disclose intimate details and information about very sensitive personal matters for them.<sup>16</sup> In addition, confidentiality principle has the following characteristics:

a) **It strengthens trust in mediation process;**

At the beginning of the mediation process, according to the relevant rules, the mediator tells the parties terms and limits of protection of confidentiality. Such statement helps the parties to begin and develop the communication. It is common that confidentiality substantially strengthens trust between the parties and the mediators. Hence, non-disclosure of information by the other party and the mediator is not guaranteed, efficiency of mediation process will be decreased.<sup>17</sup>

b) **Confidentiality principle strengthens faith of impartiality of the mediator;**

The mediator shall remain neutral in order to create a trustful atmosphere.<sup>18</sup> The mediator somehow performs creative work and can successfully perform such work if the parties will be sure that information disclosed by them will not be divulged without their consent.<sup>19</sup> According to *re Marriage of Kieturakisi* case, “confidentiality and neutrality are mandatory elements of mediation. Witnessing mediator equals to support of one party. Such support essentially violates trust and deceives conditions offered by mediation.”<sup>20</sup>

<sup>15</sup> *Rabe S., Wode M.*, Mediation, Heidelberg 2014, 19 [25.11.2017].

<sup>16</sup> *Wykoff A.*, Mediation & Confidentiality, Bond University Student Law Review, Vol. 4, 2016, 2, <<http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1006&context=buslr>>, [12.11.2017].

<sup>17</sup> *Ibid*, 3.

<sup>18</sup> *Macturk C.H.*, Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, 1995, 415, <[http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g\\_sent=1&casa\\_token=&collection=journals](http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals)>, [12.11.2017].

<sup>19</sup> *Tvauri R.*, Standard of Limits of Confidentiality Principle in Mediation Process, Journ. “Alternative Dispute Resolution – Annual”, 2015, 27 (in Georgian).

<sup>20</sup> *Anna Kieturakis v. Maciej Jan Kieturkis*, (2006).

c) **Also, this principle guarantees protection of “secret sphere” unlike court proceedings;**

One of other encouraging reasons for choosing mediation process is secrecy of the process, contrary to public court hearings. This advantage is a direct outcome of confidentiality principle and gives big stimulus to business companies that may be damaged by long and widely known court proceedings.<sup>21</sup>

d) **It is oriented on maintaining ongoing relationships;**

Mediation supports preservation of relationship between the parties (family or business partners). On the contrary, in the court by its argumentation the party tries to weaken and object to the other party's claims. Confidentiality in mediation gives the parties possibility to objectively evaluate “less charming aspect of their situation” and negotiate with positive attitude which is substantially different from negative relationship of the parties densely linked with the court proceedings.<sup>22</sup>

e) **In addition, the stated principle creates sense of “justice”;**

During the mediation process, the parties discuss more issues than it is generally discussed in usual court proceedings. So, if the information is in any form used against the party, “chances to damage the participants are relatively higher”.

Therefore, confidentiality deprives the participants of the dispute to use information acquired in the mediation process against the other party and by this way, creates relatively safe environment for the parties' interactive negotiations.<sup>23</sup>

## 2.2 Confidentiality Demonstration Forms in Mediation

Confidentiality may spread on different aspects of mediation process, including:

---

<sup>21</sup> *Wykoff A.*, Mediation & Confidentiality, Bond University Student Law Review, Vol. 4, 2016, 5, <<http://epublications.bond.edu.au/cgi/viewcontent.cgi?article=1006&context=buslr>>, [13.11.2017].

<sup>22</sup> *Ibid*, 4-5.

<sup>23</sup> *Brown K.L.*, Confidentiality in Mediation: Status and Implications, Journal of Dispute Resolution, Vol. 1991, 4, <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/jdisres1991&div=21&id=&page=>>>, [15.11.2017].

- Information created or shared during the meeting, for example, mediator's records, documents and visual materials prepared for mediation process purposes;
- Information disclosed to the mediator at the first meeting or by using electronic devices;
- Observations on behavior of participants of mediation process;
- Reasons why the parties could not agree;<sup>24</sup>

Therefore, the following confidentiality types exist in mediation process:<sup>25</sup>

### **1. Insider/Outsider Confidentiality;**

Insider/outside confidentiality refers to general obligation to protect confidentiality with respect to third parties. It is prohibited for the participants of the mediation process to disclose protected information to external persons. This obligation refers to the parties, counsels, experts, translators, witnesses, mediator and other supporting staff. This type of confidentiality prohibits these persons to disclose information to non-participant or external persons. Obligations under the law often gets insider/outside confidentiality form.<sup>26</sup> For example, according to Article 18 of Austrian Mediation Act:

„The mediator is obliged to secrecy about the facts which he has become aware of in the course of the mediation or which have otherwise become known. He shall deal with documents provided or delivered to him in the course of the mediation confidentially. The same applies to the supporting staff of the mediator as well as to persons who act for a mediator“.<sup>27</sup>

---

<sup>24</sup> Reichert K., Confidentiality in International Mediation, Dispute Resolution Journal, 2005, 62.

<sup>25</sup> Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, 2013, 180.

<sup>26</sup> Nadja M.A., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Kluwer Law International, 2009, 248.

<sup>27</sup> Austrian Mediation Act (Law on Mediation in Civil Law Matters), 6 June 2003, <[http://www.arbiter.com.sg/pdf/laws/Austrian Mediation Act 2003. pdf](http://www.arbiter.com.sg/pdf/laws/Austrian%20Mediation%20Act%202003.pdf)>, [16.11.2017].

## **2. Insider/Insider Confidentiality;**

Insider/insider confidentiality regulates information stream between participants of the mediation process. This is extremely important during caucus sessions; institutional rules of mediation often do not contain the mentioned aspect of confidentiality as it is considered to be a procedural issue settled by the mediator and the parties.

While using insider/insider confidentiality, the mediators use open communications approach or in-confidence approach methods. The first one does not consider information confidential which is disclosed at the meetings unless the party informs the mediator that he/she wants to keep confidential specific facts. The second method considers any disclosed information confidential and gives the mediator right to disclosure only if the parties agree so.<sup>28</sup>

## **3. Insider/Court Confidentiality;**

Possibility to use disclosed facts during the mediation process in civil and criminal proceedings against the party is one of the biggest problematic issues for mediation parties and their attorneys. The circle of relevant information is pretty broad and includes documents, records, observations of parties' behavior, reasons why the parties could not agree and offer made by the party to reach such agreement. Insider/court confidentiality protects mediation communication not to be presented as evidence before the court or other proceeding. This confidentiality type is a specific form of insider/outsider confidentiality which is enshrined in EU Mediation Directive regarding mediation,<sup>29</sup> Uniform Mediation Act and Model Law on International Commercial Conciliation.<sup>30</sup> This aspect of confidentiality caused the biggest confrontation as it will cross the existing boundary between the mediation process and the court system. The courts are not limited to

---

<sup>28</sup> Govori Z., Confidentiality under the ICC Mediation Rules compared to the LCIA Mediation Rules, International Hellenic University, 2016, 7.

#### 3.1.2.2 Mediation Training

Whereas, as it was discussed in part 2.2.1.1 of this paper, mediation is more of a skill than a talent, in order for a person to be ranked as a mediator, requirements of compulsory undergoing of trainings is appropriate.

The scheme of CEDR indicates only to a five-day training, which should not be enough for formation of those minimal standards which should determine the competence of a mediator. Almost in all professions, one

<sup>20</sup> Ibid, 2.

<sup>21</sup> *Boulle L., Colatrella M.T., Picchioni A.P.*, Mediator Skills and Techniques, LexisNexis, 2008, 10.

<sup>22</sup> *Boulle L., Nesic M.*, Mediator Skills and Techniques: Triangle of Influence, West Sussex, 2010, 2.

year education is necessary in order for a person to become licensed or certified.<sup>23</sup> Therefore, in order for the profession to be established, the duration of training should be increased and should not be limited to only a few days of training. For instance, Bundesverband Mediation (hereinafter BM) “was established in Germany in 1992. This an interdisciplinary union, the main goal of which is spreading of alternative possibilities of dispute resolution and popularization in Germany”.<sup>24</sup> The union has developed its standards, the satisfaction of which is required for a mediator to be granted a qualification. Undergoing 200 hour study course is regarded as compulsory, out of which 120 hour shall be conceded to the review of fundamentals of mediation, a participant concedes 30 hours for execution of what one has learnt in practice, or 20 hours of working with a mediator.<sup>25</sup>

Every person learns new skills and techniques differently. Some people study the best in a cognitive way, which means the receipt of information before realizing it in a particular situation. Some through other’s observation and as a result by formation of their own behavior. Some are better studying through the process doing, which implies, for example, participation in simulations.<sup>26</sup> Modern brain science tells us that such high level practitioners, such as mediators, develop their own ability, divide their experience in components and separately work on each component. They not only divide their abilities in sub-abilities, but also identify such sub-abilities, such as: active listening, summarizing, reformulation *etc.* and those which need improvement.<sup>27</sup> Stemming from all above-mentioned and taking into consideration that it will be impossible to adjust this training to an individual, it shall be of a complex type and contain various types of activities.

It is important to pay attention to the fact that part of training should envisage possibility of mastering family, medical, notarial or other types of mediation, since each of them is distinguished by significant specificity and requires different approach from a mediator.

---

<sup>23</sup> See, *Kovach K.K., Mediation In a Nutshell* , Thomson West, 2003, 258.

<sup>24</sup> *Tsertsvadze G., Mediation*, Tbilisi, 2010, 180.

<sup>25</sup> See, *Ibid*, 180.

<sup>26</sup> See, *Boulle L., Nesic M., Mediator Skills and Techniques: Trinagle of Influence*, West Sussex, 2010, 2.

<sup>27</sup> See, *Boulle L., Colatrella M.T., Picchioni A.P., Mediator Skills and Techniques*, LexisNexis, 2008, 10-11.

The assessment system proposed by the CEDR accreditation scheme should be shared during formation of the scheme of the Georgian mediation accreditation, since it gives an opportunity to assess practical skills as well as theoretical knowledge of a mediator.

### 3.1.2.3 Pre-conditions

In CEDR accreditation scheme, as it already was discussed above, no pre-conditions exists for undergoing a training for a person willing to mediate. In the Georgian reality, it will be appropriate, as a pre-condition, to establish a requirement of presentation of only a document evidencing higher education. Similar approach stems from those purposes of establishment of mediation as a worthy profession next to the other professions, most of which require minimum a bachelor diploma. Regarding pre-conditions, demand of some court mediation and association for a court license is extremely topical,<sup>28</sup> which should be disregarded during development of an accreditation scheme of the Georgian mediators, since, a mediation institute, which shall become worthy alternative of dispute resolution, shall be interpreted as “the process which pays attention to the interests and resolution of their issues, instead of reaching an agreement which shall be based on a legislation or to what rights parties have according to the law”.<sup>29</sup> Due to this reason, the lack of legal education is not an obstacle for mediation process since it is more oriented towards the interests of parties. Since no agreement exists regarding which profession should a mediator have, why should be required from a mediator to be a jurisprudent? In this case, a person, at the same time, should also know the basic features of a businessmen, a teacher, and a priest (the life of a priest is a priceless bridge towards the mediation because the priest is already a creator of peace<sup>30</sup>). Therefore, it is a responsibility of parties and

<sup>28</sup> *Mosten F.S.*, *Mediation Career Guide: a Strategic Approach to Building a Successful Practice*, San Francisco, 2001, 51.

<sup>29</sup> *Kovaki K.K.*, *New Wine Requires New Wine Jar* (wineskin – which is prepared from an animal’s leather): which is manufactured from an animal’s leather): transformation of lawyer’s ethic, in order to one to solve an issue by excluding competitiveness: mediation (mediation), journal “Annual 2012”, 2013, 141.

<sup>30</sup> *Mosten F.S.*, *Mediation Career Guide: A Strategic Approach to Building a Successful Practice*, San Francisco, 2001, 52.

their lawyers to present their positions in a way that a mediator can properly understand problematic issues. If there are legal issues in a case, which in the opinion of parties, are of a great importance, for this case, a mediator should ask both parties to explain these issues orally or in writing.<sup>31</sup>

### 3.1.2.4 Continuous Education

In order for a person to be a distinguished mediator, one should never stop studying and his/her education should never be limited only by one week or one-month study courses. Famous pianist, Busoni used to say: “how ideal the last interpretation seem to me, I will never abandon the possibility to develop. For example, often, after my concerts I go straight home and practice specific parts of my composition during hours, because during the concert new ideas occur in my mind”.<sup>32</sup>

Wrong idea exist that only accumulation of the experience is enough to became a qualified mediator. For example, most of people drive cars every day, but do they drive better only because they have more practice? It is true that experience improves skills, however, regarding the techniques of driving a car without the new knowledge or feedback, their skills stay at the same level, do not develop. The same happens in case of any other skill, it is golf, music or mediation.<sup>33</sup>

Therefore, like in CEDR’s accreditation scheme, definitely continuous education should be determined in the scheme of mediator accreditation of Georgia. In case of satisfying concrete requirements annually, a person will retain a status of a mediator, otherwise the sanction of suspension of a license should be determined. Mediation Center should ensure the possibility of provision of necessary trainings or other activities for continuous education. Continuous education should also envisage alternatives which a mediator will count as fulfilment of its requirements (for example, undergoing trainings held by other mediation provider organizations).

---

<sup>31</sup> *Goodman A.H.*, Basic Skills for the New Mediator, 2<sup>nd</sup> ed., United States of America, 2005, 29.

<sup>32</sup> *Boulle L., Colatrella M.T., Picchioni A. P.*, Mediator Skills and Techniques, LexisNexis, 2008, 11.

<sup>33</sup> *Boulle L., Nesic M.*, Mediator Skills and Techniques: Triangle of Influence, West Sussex, 2010, 2.

#### **4. Framework of Legislative Regulation**

In many countries accreditation standards of the mediator fall into an ethic regulation sphere. For example, article 1.1 of the European code of Conduct, which represents a recommendation and is not binding, determines the competences of a mediator: “mediators should be competent and aware of the mediation process. Relevant factors should encompass appropriate trainings, continuous education and practice for development of mediation skills, considering the relevant standards or accreditation schemes.”<sup>34</sup>

In the Georgian reality, considering the international experience, it would be appropriate to define an article regarding competences of the mediator according to the code of ethics. Unfortunately, code of ethics of mediators in Georgia has not yet been developed, therefore, first of all, works on this matter should be commenced. It is important to note the fact that stemming from the nature of licensing, the provisions of the code of ethics should not be of a recommendatory character but - binding. Code of ethics, being of a recommendatory character, cannot ensure execution of the purposes which were discussed in the 1<sup>st</sup> chapter of this paper. Otherwise, the law on mediation shall be developed, which will in detail determine an article concerning mediators. It is appropriate to form this article similar to the European Code of Conduct, by difference that it should indicate the exclusive organ issuing the license – mediation center and that appropriate scheme of the accreditation of mediators of Georgia which will be developed in future.

Besides, it is necessary for this article to indicate which certificate issued by the mediation provider organization will be equal to the license issued by the mediation center, since nowadays in Georgia, there are many mediators who were trained by the international mediation provider organizations. The obligation of licensing is justified to apply only to those people who have not participated in such certified courses, however, the obligation to satisfy the requirements of the continuous education program should apply to each mediator.

---

<sup>34</sup> Ibid, 642.

## 5. Conclusion

The aim of the present paper represented to show the necessity and advantage of developing the accreditation standards for mediators, which was clearly identified by the research. The paper examined those mechanisms of regulations which are appropriate to be regarded as one of the main and necessary means for solving the problem identified in the introduction.

Establishing regulations for the profession of a mediator will bring us to the improvement of status of mediation institute, it will transform into a worthy alternative of a court, which is not an auxiliary means of a sphere subordinate to other regulation.<sup>35</sup> As a result, more trust of modern institute of mediation will be created in the society which is an encouraging precondition for mediation. Besides, number of people willing to become mediators and who the perspective of development of mediation depends on will increase. Moreover, regulation of accreditation standards of a mediator on the legislative level shall raise the standards of protection of people benefiting from the service.

Finally, development of mediation institute will help to eradicate one more problem, regarding overload of cases at court, which is important for effective execution of justice.

## Bibliography

1. *Boulle L., Colatrella M.T., Picchioni A.P.*, Mediator Skills and Techniques, LexisNexis 2008, 10, 11.
2. *Boulle L., Nesic M.*, Mediator Skills and Techniques: Triangle of Influence, West Sussex, 2010, 2, 642, 646-647.
3. *Goodman A.H.*, Basic Skills for the New Mediator, 2<sup>nd</sup> ed., United States of America, 2005, 29.
4. *Hinshaw A.*, Regulating Mediators, Jour. Harvard Negotiation Law Review, Spring 2016, 199, 201, 212.
5. *Kovach K.K.*, Mediation In a Nutshell, Thomson West, 2003, 252.
6. *Kovach K.K.*, New Wine Requires New Wine Jar (wineskin – which is

---

<sup>35</sup> *Hinshaw A.*, Regulating Mediators, Jour. Harvard Negotiation Law Review, Vol. 21:163, Spring 2016, 201.

prepared from an animal's leather): which is manufactured from an animal's leather): transformation of lawyer's ethic, in order to one to solve an issue by excluding competitiveness: mediation (mediation), *journal*, "Annual 2012", 2013, 141 (in Georgian).

7. *Mosten F.S.*, *Mediation Career Guide: A Strategic Approach to Building a Successful Practice*, San Francisco, 2001, 52.
8. *Okropiridze B.*, *Mediation – News in Modern Georgian Law and Perspective of its Development Based on International Experience*, *Journal*, "Annual 2012", 2013, 33, 41 (in Georgian).
9. *Tsertsvadze G. (edit.)*, *Author's Collective, Perspectives of Legal Regulation of Mediation in Georgia*, Tbilisi, 2013, 136-137, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>> (in Georgian).
10. *Tsertsvadze G.*, *Mediation*, Tbilisi, 2010, 178, 180, 244 (in Georgian).
11. <[https://www.cedr.com/exchange/docs/CEDR\\_CPD\\_notes.pdf](https://www.cedr.com/exchange/docs/CEDR_CPD_notes.pdf)>.
12. <[https://www.cedr.com/library/documents/Training\\_assessment\\_competencies.pdf](https://www.cedr.com/library/documents/Training_assessment_competencies.pdf)>.

## თამთა მარგველაშვილი\*

### მედიაცია, როგორც პროფესია: ეთიკის მოდელები, პრინციპები და გამოწვევები

სტატიაში მიმოხილულია მედიაციის არსი და მნიშვნელობა, მედიაციის პროფესიული დანიშნულება და ღირებულება, უფრო ვრცლად განხილული იქნება მედიაციის ეთიკის საკვანძო საკითხები, მედიაციის ეთიკის დამკვიდრებული მოდელები, რომლებიც ჯერ კიდევ განვითარების ფაზაშია და პრაქტიკისა და თეორიის შერწყმით სრულყოფას საჭიროებს. გარდა ამისა, სტატიაში წარმოდგენილი სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების, სამედიატორო ეთიკის კოდექსების განხილვისა და შედარების საფუძველზე გამოიყოფა ეთიკის საბაზისო პრინციპები, მედიატორის საქმიანობის მთავარი ეთიკური გამოწვევები, რომლებიც დროულ რეაგირებას მოითხოვს, როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. შედეგად, მედიაციის ეთიკის სფეროში არსებული პრობლემების ანალიზით მოხდება ეთიკური გამოწვევების დიფერენცირება და შესაძლებელი იქნება გადაჭრის გზებზე საუბარი, რაც მედიაციის პრაქტიკისა და თეორიის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაციის ეთიკა, მედიატორის პროფესია, ეთიკის საკანონმდებლო რეგულაცია, ეთიკის პრინციპები და მოდელები, ეთიკის კოდექსი, ეთიკური გამოწვევები, ეთიკური გამოწვევების გადაჭრის მექანიზმები.

## 1. შესავალი

მედიაცია, როგორც პროფესია, თავისი არსის, ეფექტურობისა და სიმარტივის გათვალისწინებით სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რაც ქმნის საფუძველს ვისაუბროთ ეთიკურ გამოწვევებზე. მედიაციის ინსტიტუტმა საფუძველი ჩაუყარა დავის

---

\* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი



გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას, რომელიც შესაძლებელს ხდის სასამართლოს გარეშე იქნეს გაანალიზებული საკითხი მესამე ნეიტრალური მხარის (მედიატორის) დახმარებით. ვინაიდან მედიაცია, როგორც ინსტიტუცია და პროფესია, კონფლიქტის მართვის სხვა საშუალებებთან შედარებით საზოგადოებისთვის სიახლეს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, რეგულაციებისა და პრაქტიკული გამონვევების შეთანხმება, რათა მივალნიოთ დავის გადაწყვეტის სრულყოფილ ფორმას და მედიაცია გავათავისუფლოთ ექსპერიმენტის სტატუსისაგან.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული იქნება მედიაციის არსი და მნიშვნელობა, მისი ადგილი მეცნიერებაში და მედიაცია, როგორც პროფესია. უფრო ვრცლად განხილული იქნება მედიაციის ეთიკის კოდექსების შედარების საფუძველზე ეთიკის საბაზისო პრინციპები, მედიატორის საქმიანობის მთავარი ეთიკური გამონვევები, ხოლო, ეთიკის დამკვიდრებული მოდელების ანალიზის შედეგად მივიღებთ პასუხს კითხვაზე: მიყავართ თუ არა პრაქტიკას სრულყოფილებამდე მედიაციის პროცესში? გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდება ეთიკის არამხოლოდ თეორიულ საფუძველებზე, არამედ სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების, სამედიატორო ეთიკის კოდექსების განხილვით შესაძლებელი გახდება ეთიკური გამონვევების დიფერენცირება და გადაჭრის გზების ძიება.

## **2. მედიაცია: ინტერდისციპლინური დარგი და პროფესია**

### **2.1. მედიაციის არსი და მისი მნიშვნელობა დავის გადაწყვეტის პროცესში**

მე მესმის თქვენი. თქვენი ძალიან კარგად მესმის...

შეიძლება, დავფიქრდეთ რამ გამოიწვია ეს მდგომარეობა?

თქვენი უკმაყოფილების მიზეზი ვეძებოთ და ვიფიქროთ, როგორ აღმოვფხვრათ ის...

ეს რიტორიკული შეკითხვები თუ ფრაზები კარგად ასახავს იმას, რა სჭირდება ადამიანს მედიაციის პროცესში: თანადგომა, თანაგრძნობა და თანასწორობა. სწორედ ეს სამი „თა“ პრინციპი განმსაზღვრელია ეფექტური და ამავე დროს, ეფექტიანი ურთი-

ერთობებისთვის, რომელიც არა მხოლოდ დავების გადაწყვეტისთვის არის დამახასიათებელი, არამედ კომუნიკაციის ხელოვნების ქვაკუთხედს წარმოადგენს და უსაფრთხოების განცდას გვძენს. თუმცა, სად გადის ზღვარი ერთი მხრივ სამ „თა“-სა და სამართლიანობას, ხოლო მეორე მხრივ, სამართალსა და სამართლიანობას შორის, საკამათო და, ხშირ შემთხვევაში, უპასუხო კითხვების კატეგორიას მიეკუთვნება.

მედიაცია კონფლიქტის მოგვარების კლასიკური სამართლებრივი ინსტიტუტებისგან განსხვავებით გვთავაზობს ურთიერთობებზე, კომუნიკაციაზე დაფუძნებულ დავის გადაწყვეტის პროცესს, რომელშიც მედიატორი სარგებლობს უპირობო თავისუფლებით – პროცედურული სამართლიანობით ხელი შეუწყოს სამართლიანი სამედიაციო შეთანხმების ჩამოყალიბებას. ის წარმოადგენს მოლაპარაკების პროცესს, რომელშიც ნეიტრალური პირი დაპირისპირებულ მხარეებს ან/და მათ წარმომადგენლებს ეხმარება წარმოშობილი კონფლიქტის ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დასრულებაში. აქედან გამომდინარე, მედიაციის მთავარი დანიშნულებაა, აღდგეს და შენარჩუნდეს მხარეთა შორის არსებული სოციალური ურთიერთობები, რომლის მიღწევაც უფრო მარტივია მოლაპარაკების გზით, ვინაიდან ადამიანებს შორის აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრა სწორედ მოლაპარაკების გზით არის შესაძლებელი.<sup>1</sup>

მედიაცია ხშირად მოიაზრება, როგორც „მოსამზადებელი“, საწყისი სტადია სასამართლო ან საარბიტრაჟო პროცესის წინ.<sup>2</sup> ის მოლაპარაკების პროცესის მხადაჭერა და ხელშეწყობაა.<sup>3</sup> შესაბამისად, მედიაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ვინაიდან სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესით მხარეები ნეიტრალური მესამე პირის დახმარებით და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე

<sup>1</sup> Fisher R., William U., Getting to YES, Negotiating Agreement Without Giving In, 2<sup>nd</sup> ed., Harvard Negotiation Project, Penguin Books, New-York, 1991, Introduction, 7.

<sup>2</sup> Guillemain J.F., Reasons for Choosing Alternative Dispute Resolution, ADR in Business-Practice and Issues across Countries and Cultures, Vol. 2, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2011, 35.

<sup>3</sup> Stitt, Allan J., Mediation: a Practical Guide, Cavendish Publishing, London, 2004, 1.

აღებით ცდილობენ, იპოვნონ უთანხმოების აღმოფხვრის ორივე მხარისათვის მისაღები ვარიანტი და ინტერესებზე ფოკუსირებით შეძლონ ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.

## 2.2. მედიაციის ადგილი მეცნიერებაში

მედიაცია, დღეს დამკვიდრებული ფორმით, წარმოიშვა სამეზობლო და თანაცხოვრების სფეროში არსებული მარტივი კონფლიქტების გადასაჭრელად სასამართლო პროცესებისგან თავის დაღწევის მიზნით.<sup>4</sup> მაშინ, როცა მედიაცია ვითარდებოდა, როგორც მომხმარებლისთვის სასარგებლო, არაფორმალური, ნებაყოფლობითი, კოოპერაციული დავის გადაწყვეტის პროცესი, სოციალური გამოწვევების ზრდამ, ურთიერთობების სხვადასხვა ფორმის არსებობამ, აუცილებელი გახდა მის სამეცნიერო ქრილში გაანალიზება და გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოების შემოღება.<sup>5</sup>

სამეცნიერო სფეროში მედიაციის ადგილის განსაზღვრისთვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა კონფლიქტების ფსიქოლოგიის ანალიზი. კონფლიქტის ერთიანი დეფინიცია არ არსებობს, თუმცა, ყველა თანხმდება, რომ ის წარმოადგენს წინააღმდეგობას ორ ან მეტ ადამიანს შორის, რომელიც წარმოიშობა მათი შეხედულებების, ინტერესების დაპირისპირების გამო. კონფლიქტისას ხდება ორი პოზიციის შერწყმა, გარკვეული ინტეგრალური შეთანხმებით პირველი და მეორე მხარის ერთობლივ ინტერესების გამოკვეთა და შესაბამისობის დადგენა.<sup>6</sup> აქედან გამომდინარე, ის მიეკუთვნება სოციალური მეცნიერებების კატეგორიას, ფსიქოლოგიური სწავლების ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს, რომელიც საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. თუმცა, კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში, როცა ის უმართავი ხდება, ერთგვარ კიდევ ერთი მეცნი-

<sup>4</sup> Astor H., Chinkin C., *Dispute Resolution in Australia*, Butterworths, 2<sup>nd</sup> ed, 2002, 14.

<sup>5</sup> Harman J., *From Alternative to Primary Dispute Resolution: The pivotal role of mediation in (and in avoiding) litigation*, Speech delivered at National Mediation Conference, Melbourne, Australia, 2014, 7.

<sup>6</sup> Fisher R., William U., *Getting to YES, Negotiating Agreement Without Giving In*, 2<sup>nd</sup> ed., Harvard Negotiation Project, Penguin Books, New-York, 1991, 10.

ერება – იურისპრუდენცია, რომელიც ცდილობს დადგენილი ნორმებით აღმოფხვრას კონფლიქტური სიტუაცია.<sup>7</sup> რადგან კონფლიქტი მოიცავს თანაცხოვრების ყველა სფეროს, ის თანაბრად ეხება სხვა მეცნიერებებსაც: ბიზნესს, პოლიტიკას, მედიცინას და სხვა.

ზემოთ აღნიშნული ექსკურსიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მედიაცია ინტერდისციპლინური დარგია, ვინაიდან მისი მოქმედების ამოსავალი წერტილი, სწორედ რომ, კონფლიქტური სიტუაციების მართვას უკავშირდება. სოციალური თუ ჰუმანიტარული მეცნიერებები, ბიზნესი თუ ეკონომიკა, პოლიტიკა – თითოეული ეს დისციპლინა მჭიდროდ არის დაკავშირებული მედიაციასთან, თუმცა, ყველაზე მეტად მედიაციასთან კვლევითი იურიდიული მეცნიერებებია დაკავებული, რადგან მედიაცია სწორედ მის წიაღში წარმოიშვა, ხოლო სამედიაციო შეთანხმება მოითხოვს სტრუქტურირებულ პროცედურებს, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მართლწესრიგს.

### **2.3 მედიატორი: პროფესია, ექსპერიმენტული საქმიანობა თუ დამატებითი შემოსავალი**

მედიაციის პროცესი მედიატორის – ნეიტრალური, მიუკერძოებელი მესამე პირის მიერ მოდელირებული მოლაპარაკებაა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკება ყოველთვის არ გულისხმობს მედიაციას, ეს უკანასკნელი კი თავისი არსით ყოველთვის დაკავშირებულია პირველთან. ცნობილია, რომ უძველესი დროიდან მედიაცია გამოიყენებოდა საერთაშორისო, ეთნიკური თუ სხვა სახის დავების გადაწყვეტისას, თუმცა, განსხვავებული სახელწოდებებით: „შუამავლობა“, „შუამდგომლობა“, „მომრიგებლური მომსახურების შეთავაზება.“

მედიაციის ინსტიტუტის განვითარებამ განსხვავებული ელფერი შესძინა მედიატორის ცნებას და მხოლოდ ლათინური ტერმინის მიხედვით მისი დეფინირება – „შუამავლად“ – არ აღმოჩნდა საკმარისი. შესაბამისად, არის მცდელობა, განაზოგადონ მედიაციის პროფესიული საწყისები და ჩამოაშორონ მას ექსპერიმენტული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

---

<sup>7</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, მერიდიანი, თბ., 2012, 24.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი კვლევა ჩატარდა მედიაციის პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით,<sup>8</sup> მედიატორის სტილთან მიმართებით,<sup>9</sup> მედიატორის უნარ-ჩვევების შესახებ,<sup>10</sup> თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მოდულებისთვის,<sup>11</sup> სამეცნიერო წრეებში ნაკლებად თუ მოიძებნება მედიატორის პროფესიასთან დაკავშირებული მასალები.<sup>12</sup> *Mosten (2001)* და *Lenski (2008)*, ორივე, წერს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიქმნას კარიერა მედიაციაში, თუმცა, არც ერთი არ საუბრობს ემპირიულ კვლევებზე მედიაციის პროფესიის შესახებ.

მედიაციის პროფესიულ სანყისებზე მსჯელობისას საყურადღებოა *U.S. News and World Report*-ის ანალიზი სამედიაციო პრაქტიკის განხორციელებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესახებ,<sup>13</sup> რომელიც აპელირებს ოცდაათ-ორმოცსათიან სატრენინგო კურსზე. ამ კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ პირი ხდება პროფესიონალი მედიატორი და მას ეძლევა ლიცენზია, განახორციელოს სამედიაციო პრაქტიკა. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე ყურადღების მიღმა რჩება პირის მზაობა, მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლო არასათანადო უნარები, პირის არასაკმარისი რეპუტაცია, კონკურენციის ნაკლებობა, რითაც მედიაცია ექსპერიმენტულ საქმიანობას ემსგავსება. ფაქტობრივად, ასეთი რეგულაცია მედიაციის პროფესიას გარკვეული რისკების ქვეშ აყენებს, რადგან ორი ძირეული ფაქტორი, მედიატორის გამოცდილება და რეპუტაცია, სატრენინგო კურსების მიხედვით ვერ

<sup>8</sup> *Moore Ch. W.*, *The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict*, 4<sup>th</sup> ed., 2003, 17.

<sup>9</sup> *Kressel K.*, *Mediation research*, 2007, 12., *Della Noce D.J.*, *Seeing Theory in Practice: An Analysis of Empathy in Mediation*, 2009, 43.

<sup>10</sup> *Hedeen T., Raines S., Barton A.B.*, *Best Practices for Mediation Training and Regulation: Preliminary Findings*, Association of Family and Conciliation Courts, 2011, 112.

<sup>11</sup> *Zariski A.*, *A Theory Matrix for Mediators*, 2010, 20.

<sup>12</sup> *Raines S.S., Pokhrel S.K., Poitras J.*, *Mediation as a Profession: Challenges That Professional Mediators Face*, *Conflict Resolution Quarterly*, Vol. 31, 1, 2013, 79.

<sup>13</sup> *US News & World Report* says mediator one of the top jobs for 2008 but the problem is that there are more mediators than there are mediation jobs.

გადანყდება და ამ სფეროში საკვალიფიკაციო მოთხოვნების რეგულირების ნაკლებობა, დამატებითი ანაზღაურების ცდუნებები, მედიაციის პროფესიას ყველასთვის მიმზიდველს წარმოაჩენს.<sup>14</sup>

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, განხილულ იქნას პროფესიონალი მედიატორების აკადემიური კვალიფიკაცია, რათა დავასკვნათ, წარმოადგენს თუ არა მედიაცია დამხმარე საშუალებას და არა ძირითად პროფესიას, რაც მედიაციის ერთ-ერთი ეთიკური გამოწვევაა. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევამ<sup>15</sup> ცხადყო, რომ მედიაციის სფეროში დასაქმებულთა უმრავლესობას იურისტები შეადგენენ, შემდეგი ადგილი უჭირავთ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლებს, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები ბიზნესის სფეროში მომუშავეებთან ერთად ბოლო ადგილს ინაწილებენ. აქედან გამომდინარე, მედიაცია, როგორც დამოუკიდებელი პროფესია ჯერ კიდევ განვითარების ფაზაშია და მისი ყოვლისმომცველი ხასიათით რთული იქნება მხოლოდ რომელიმე დარგთან მის პროფესიულ კუთვნილებაზე საუბარი.

### 3. მედიაციის ეთიკა

#### 3.1 მედიაციის ეთიკის განმარტება

ეთიკა (ბერძ. *Ēthikē*) დამკვიდრებული დეფინიციის მიხედვით, წარმოადგენს ფილოსოფიურ მოძღვრებას რომელიმე კლასის, გარკვეული საზოგადოებრივი წრის, პროფესიის წარმომადგენელთა მორალის, ზნეობის, ყოფაქცევის ნორმების შესახებ. აქედან გამომდინარე, იოლია დავასკვნათ, რომ მედიაციის ეთიკა, მედიაციის სამართლებრივი საწყისების გათვალისწინებით შეისწავლის კონფლიქტების მართვის სფეროში არსებულ მორალურ, ზნეობრივ და სამართლებრივ საზღვრებს. სწორედ ამიტომ, მრავალ ქვეყანაში შეიქმნა მედიატორთა ქცევის კოდექსი,<sup>16</sup> რომელთა ანალიზის საფუძველზე რამდენიმე ძირეული პრინციპი გამოიყოფა:

<sup>14</sup> Raines S.S., Poitras J., Mediation as a Profession: Challenges That Professional Mediators Face, Conflict Resolution Quarterly, Vol. 31, 1, 2013, 81.

<sup>15</sup> იქვე, 84.

<sup>16</sup> Leynseele P.V., Dolezalova M., Ethics in Mediation, 2012, 1.

კომპეტენცია, ნეიტრალურობა, თვითგამოხატვა, ხარისხი, კონფიდენციალურობა, მომსახურების რეკლამირება და ანაზღაურება.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ სამართლის მკვლევრები ამ ძირითად პრინციპებზე თანხმდებიან, თითქმის ყველა ქცევის კოდექსის წინასიტყვაობა გვამცნობს, რომ თითოეული მედიატორის პირადი პასუხისმგებლობაა, თუ როგორ წარმართავს პროცესს და სამედიატორო საქმიანობას შინაგანანესით მოწესრიგების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, ნაკლებად თუ მოიძებნება პრაქტიკული „ჰაიდლაინები“ ეთიკური საკითხების სამართლებრივ რეგულირებასთან კავშირში. ამ მიმართულებით, საინტერესოა, ელენ ვოლდმენის პუბლიკაცია „მედიაციის ეთიკა: საქმეები და კომენტარები“,<sup>18</sup> რომელიც იწყება მედიაციის ფილოსოფიით (ღირებულებები, მოდელები და კოდექსები), ხოლო ყოველი ახალი თავი კი ახალ საქმესა და თანდართულ კომენტარებს წარმოადგენს. ვოლდმენის მიხედვით, არსებობს სამი ბაზისი მედიაციის ეთიკაში: ავტონომია, პროცედურული სამართლიანობა და „ნაყოფიერი“ გამოსავალი.<sup>19</sup> ამ სამიდან კი ყველაზე დიდი ადგილი ავტონომიას უჭირავს, რომელიც მოცულია ისეთი ეთიკური დილემებით, როგორიცაა ემოციურობის, ძალის, ინფორმაციისა და თვითგამორკვევის ბალანსი მხარეებისთვის, ხოლო მედიატორი კი მხარეთა პაექრობის პროცესში კეთილსინდისიერების, სამართლიანობისა და რელევანტური ინფორმაციის გამჟღავნების დილემის წინაშე დგას.

### 3.2 მედიაციის ეთიკის დამკვიდრებული მოდელები

არისტოტელე ეთიკას უკავშირებს შეკითხვას: რა უნდა გავაკეთოთ სამართლიანობისა და უსამართლობის გასამიჯნად? იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრდა სამედიაციო ეთიკის ორი

<sup>17</sup> Burns R.P., Some Ethical Issues Surrounding Mediation, Fordham Law Review, Vol. 70, Issue 3, 2001, 695.

<sup>18</sup> Waldman E., Mediation Ethics: Cases And Commentaries, San Francisco, Jossey-Bass, 2011.

<sup>19</sup> Ibid.



მოდელი: მარეგულირებელი და პრაქტიკული.<sup>20</sup> მარეგულირებელი მოდელის მიხედვით, ზემდგომი პროფესიული საზოგადოება ქმნის ქცევის წესების საერთო სტანდარტებს, რომლებიც სავალდებულოა ყველასთვის. აღნიშნული მოდელის კრიტიკოსები, დევიდ ლუბანი, ვილიამ სიმონი და ქრისტინე პარკერი,<sup>21</sup> მიუთითებენ, რომ ეს მოდელი ყურადღების მიღმა ტოვებს რეალურ ურთიერთობებსა და მხარეთა მოვალეობებს. მისი უფრო ფორმალური ხასიათი, ვიდრე პრაქტიკული, ქმნის იძულების ილუზიას და არ აგვარებს ქვემოთ ჩამოთვლილ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, შეიქმნა პრაქტიკული მოდელი, რომელიც კონკრეტული „სცენარის“ გათვალისწინებით ქმნის მედიატორთა ქცევის სავალდებულო წესებს. ამ შემთხვევაში უკუგდებულა ზოგადი კონცეფციები და ყურადღება ეთმობა პრეცედენტებს ყოველი მსგავსი შემთხვევისთვის. აღნიშნული მოდელის მომხრეები, რომლებიც ძირითადად ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების იურისტები არიან, მთავარ უპირატესობას იმაში ხედავენ, რომ მსგავსი პრეცედენტები იქმნება თავად იურიდიული საზოგადოების შიგნით და მას არ არეგულირებს ზემდგომი ორგანო, შესაბამისად, არის უფრო ურთიერთობებზე დამყარებული, დინამიკური და მოქნილი, განსხვავებით იერარქიული, ფორმალური მარეგულირებელი მოდელისაგან.

პრაქტიკული მოდელის მიმზიდველობა მედიაციისას შემდეგი არგუმენტებით მყარდება: მედიაცია არის კონკრეტულ ურთიერთობებზე დამყარებული პროცესი და არ საჭიროებს ტრადიციულ მიდგომებს, რომლებიც დამახასიათებელია მარეგულირებელი მოდელისთვის; მედიაცია მიიჩნევა ერთიანი სტრუქტურის არ მქონე დავის მოგვარების საშუალებად, მისი არასტრუქტურირებული ხასიათი კი უარყოფს ეთიკის რეგულაციების ერთიანი მოდელის არსებობას; მედიაცია ინტერესებზე დაფუძნებული პროცესია და ამ პროცესში საჭიროა მოქნილობის მაღალი ხარისხი.<sup>22</sup>

<sup>20</sup> *Waldman E.*, *Mediation Ethics: Cases And Commentaries*, Chapter 1, Values, Models, and Codes, San Francisco, Jossey-Bass, 2011, 16.

<sup>21</sup> *Crowe J.*, *Mediation Ethics and the Challenge of Professionalisation*, *Bond Law Review* Vol. 29, Issue 1, 2017, 6.

<sup>22</sup> *Parker Ch., Evans A.*, *Inside Lawyers' Ethics*, Cambridge University Press, 2<sup>nd</sup> ed., 2014, 3; *Hodson C., Sullivan N.*, 266–8; *Luban D.*, *Lawyers and Justice: An Ethical Study*, Princeton University Press, 1988; *Simon W.*, *The Practice of Justice: A*



### 3.3 მედიაციის ეთიკის პრინციპები და კოდექსების შედარებითი ანალიზი

მედიატორები ხშირად იმყოფებიან დილემის წინაშე, ეთიკის „გაიდლაინებიდან“ თუ რომელი მნიშვნელოვანი პრინციპით იხელმძღვანელონ. ჩამოთვლილი პრინციპები საერთოა თითქმის ყველა მოქმედი ეთიკის კოდექსისათვის, თუმცა, ქვეყნები და სამედიატორო ცენტრები მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებულ მიდგომებსაც აფუძნებენ. კოდექსების შემოქმედნი, მათ შორის, დავის ალტერნატიული მოგვარების ასოციაციის, საოჯახო მედიციის აკადემიის, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის პროფესიონალი მედიატორები, ათ ძირითად პრინციპს გამოყოფენ:<sup>23</sup>

**1. ინტერესთა კონფლიქტი**, რომელიც მოიცავს მედიატორების პირდაპირ პირად, პროფესიულ, ფინანსურ ინტერესებსა თუ შედეგებს, რაც საქმის აცილების საფუძველია. ეს ვალდებულება კიდევ უფრო კომპლექსური ხდება, როცა საქმე ეხება არაპირდაპირ ინტერესებს (მაგ., მედიატორი მუშაობს ფირმაში, რომელიც დანტერესებულია ამ საქმის შედეგით). ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია ინტერესის არაპირდაპირობის ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს მედიატორის საქმეში დარჩენის შესაძლებლობას. ამ საკითხს უკავშირდება *პროფ. ფრანკ სანდერის* კვლევა „საგაზეთო სათაურის შესახებ“,<sup>24</sup> რომელიც უკავშირდება მედიატორის გრძნობებს, როდესაც ის გაზეთის პირველ გვერდზე არასასურველი კონტექსტით არის წარმოჩენილი; **2. კომპეტენცია/კვალიფიკაცია** – ყველა მედიატორმა იცის თავისი შესაძლებლობის არეალი. შესაბამისად, უნდა ეცადონ თავიდან აიცილონ საქმეები, რომლებიც გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული და სპეციალურ ცოდნას საჭიროებს. ამავე პრინციპიდან გამომდინარეობს

---

Theory of Lawyers' Ethics (Harvard University Press, 1998); *Parker Ch.*, Regulation of the Ethics of Australian Legal Practice: Autonomy and Responsiveness, 2002, 25 University of New South Wales Law Journal, 676.

<sup>23</sup> *Hoffman D.A.*, Ten Principles of Mediation ethics, Boston Law Collaborative Journal, 2005, 56.

<sup>24</sup> *Sander F.*, *Headline Test*. Dispute Resolution Magazine, Vol. 19, 2012, 14.

ლიცენზირებისა და საკვალიფიკაციო ტრენინგების სავალდებულოობა; **3. მიუკერძოებლობა**, რომელიც მთელი პროცესის განმავლობაში უნდა ჰქონდეს მედიატორს. უნდა შეეძლოს კონტროლი საკუთარ სიტყვაზე, გრძობაზე და დამოკიდებულება, გავლენაზე, მანერაზე, სხეულის ენაზეც კი. შესაბამისად, გამოიყენოს ე.წ. „თანასწორი მოპყრობის“ მიდგომა (even-handed approach); **4. ნებაყოფლობითობა**: მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სასამართლო მედიაცია, რომელიც სავალდებულოობის ნიშანს ინარჩუნებს, მედიაცია ნებაყოფლობითი პროცესია, რაც გულისხმობს მხარეების მონაწილეობის, მოქმედების, მორიგებისა თუ დავის გაგრძელების თავისუფალ ნებას; **5. კონფიდენციალურობა**, რომელიც ორ ასპექტს აერთიანებს: მედიატორის მიერ პროცესის საიდუმლოების დაცვას მესამე პირებთან ურთიერთობაში; მხარეთა კერძო შეხვედრისას ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას. გარდა ამისა, მედიატორი იღებს ვალდებულებას შეატყობინოს მხარეებს შესაბამისი ლიმიტების შესახებ მედიაციის პროცესში.<sup>25,26</sup> **6. ზიანის თავიდან აცილება (Do not harm)** ჰიპოკრატეს ფიცისგან ნაწარმოები პრინციპია, რომელიც მედიატორს ავალდებულებს, განავითაროს ინდივიდუალური მიდგომა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. აქ ყურადღება მახვილდება სპეციალური, ფსიქოლოგიური საჭიროების მქონე პირებზე (რომელიც არ იწვევს შეზღუდული ქმედუნარიანობის მდგომარეობას). მედიატორი უნდა ეცადოს, თავიდან აირიდოს ცეცხლზე ნავთის დასხმა (avoid adding fuel to the fire) და მართოს როგორც თავისი, ასევე მხარეთა ემოციები;<sup>27</sup> **7. თვით-გამორკვევის პრინციპი** დაკავშირებულია მხარეებისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღებასა და ინტერესების დეტერმინირებასთან, რომელიც, ასევე ავალდებულებს მედიატორს, თავიდან

<sup>25</sup> UIA Forum of Mediation Centres, Practice Guideline 1: Confidentiality in Mediation, Good Practices in Confidentiality adopted in Dublin, 7-10 September, 2007, 1.

<sup>26</sup> Greenberg E., Confidentiality: The Illusion and the Reality—Affirmative Steps for Lawyers and Mediators to Help Safeguard Their Mediation Communications, Vol. 6, NYSBA, 2013, 10.

<sup>27</sup> Hoffman D.A., Ten Principles of Mediation ethics, Boston Law Collaborative Journal, 2005, 58.

აიცილოს რომელიმე მხარის დომინანტური მდგომარეობა;<sup>28</sup> **8. ინფორმირებული თანხმობა:** იგულისხმება, როგორც ნებაყოფლობით მედიაციაში მონაწილეობაზე, ასევე სამედიაციო შეთანხმების პირობებზე. მედიატორი ვალდებულია, მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მედიაციის ინსტიტუტზე, პროცესსა და შედეგებზე; **9. ვალდებულებები მესამე მხარის მიმართ** – მესამე პირები დაცულები უნდა იყვნენ სამედიაციო შეთანხმებიდან გამომდინარე ზიანისაგან. შესაბამისად, მედიატორი შებოჭილია, განიხილოს შეთანხმების გავლენა მესამე პირებზეც;<sup>29</sup> **10. კეთილსინდისიერება** მედიაციის პროცესში მოიცავს მედიატორის ვალდებულებას, მხარეებს მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია თავის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე, ასევე კერძო შეხვედრებიდან გამომდინარე ისეთ საკითხებზე, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ნების გამოვლენაზე და დაანესოს მომსახურების გონივრული საფასური.<sup>30</sup>

მედიაციის ეთიკის კოდექსების შედარებითმა ანალიზმა ცხადყო, რომ, მიუხედავად პრინციპების საბაზისო კატეგორიის არსებობისა, სამედიაციო ეთიკისთვის განმსაზღვრელია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპები, ვინაიდან სწორედ ამ პრინციპებისგან არის ნაწარმოები სხვა ზემოთ ჩამოთვლილი. ისინი მხარეს უნერგავს დაცულობისა და სანდოობის შეგრძნებას. მაგალითად, *ბელგიის ეთიკის კოდექსის წინასიტყვაში აკრედიტებული მედიატორებისთვის*<sup>31</sup> პირდაპირ აღნიშნულია, რომ მედიატორი ვერ შეძლებს სამედიატორო პრაქტიკის განხორციელებას, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი მისი საქმიანობის მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი ხასიათი პირადი, მატერიალური თუ მორალური ინტერესების გათვალისწინებით; არსებითად მსგავსი

<sup>28</sup> *Nolan-Haley J.*, Self-determination in International Mediation: Some Preliminary Reflections, Fordham University School of Law, 2007, 3-4.

<sup>29</sup> *Armengol V.A.*, The Principles of Mediation and the Role of Third Parties in Peace Processes, Norwegian Peacebuilding Resource Centre Report, September 2013, 5.

<sup>30</sup> *Jr Burns R.J.*, Mediation Techniques and Why Honesty is Always the Best Policy, Perry Dampf Dispute Solutions Report, 2014, 7.

<sup>31</sup> Belgian Code of Ethics for Accredited Mediators by Federal Mediation Commission, 2007.

მიდგომა არის საფრანგეთში, *CMAP*<sup>32</sup> სპეციალურ საზედამხედველო საბჭოს ავალებს მედიატორთა ამ პრინციპებით შებოჭვის კონტროლს; ავსტრალიის მედიატორთა ეთიკის გაიდლაინები<sup>33</sup> დამატებით აწესებს გამჭვირვალობის პრინციპს, რომელიც ავალდებულებს მედიატორს მხარეებს მიანოდოს შეფასებისა და დასკვნისთვის საჭირო ინფორმაცია. გარდა ამისა, მედიატორს ალჭურავს შესაძლებლობით, შეწყვიტოს პროცესი მასში ჩამოთვლილი სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, ხოლო კონფიდენციალურობის ვალდებულებას განაგრცობს მედიასთან კომუნიკაციის შეზღუდვით; ჩეხეთის რეგულაცია მხოლოდ მიუკერძოებლობის პრინციპს შეიცავს, დანარჩენ გაიდლაინებს კი ცალკეული ცენტრები საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე აწესრიგებენ;<sup>34</sup> რაც შეეხება აშშ-ს, ვინაიდან ფედერალური კანონი უშვებს შტატების მიხედვით კონკრეტული სფეროს მონესრიგებას, მედიატორებისთვის ყველაზე მეტი პრინციპი და შებოჭვის ინსტრუმენტი არს

### 3.4 ეთიკური გამოწვევები: პრაქტიკული დილემები მედიაციის პროცესში

მედიატორისთვის იმპროვიზაცია ყველაზე დიდი იარაღია, რადგან მედიატორის მიერ პროცესის წარმართვა საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს. სამედიატორო საქმიანობაში ერთი კონკრეტული მოდელის გამოყენება გამორიცხულია, რაც ერთ-ერთი ეთიკური გამოწვევაა.<sup>35</sup> მიუხედავად მედიაციის ეთიკაში განზოგადებული კონცეფციებისა, ყოველმა ახალმა შემთხვევამ შესაძლოა, ახალ მოდელთა გამოყენების საჭიროება წარმოშვას.

კვლევებმა<sup>36</sup> ცხადყო, რომ მედიატორთა გამოწვევა არა მხოლოდ საჭირო მოდელის მოძებნაა სამედიატორო პრაქტიკაში,

<sup>32</sup> The Centre for Mediation and Arbitration of Paris.

<sup>33</sup> Ethical Guidelines for Mediators in Australia by The Law Council of Australia.

<sup>34</sup> Code of Ethics for Lawyers-Mediators by Czech Bar Association.

<sup>35</sup> *Crowe J.*, Mediation Ethics and the Challenge of Professionalisation, *Bond Law Review*, Vol. 29, Issue 1, 2017, 8.

<sup>36</sup> *O'Brien R.A.*, Amending the Model Rules to Include the Role of Lawyer as Mediator: The Latest in the Debate, *Georgetown Journal of Legal Ethics*, 1998, 107-108.

არამედ უფრო მნიშვნელოვანი დილემები მედიატორისთვის მორალურ-ეთიკურ ქრილში არსებობს: 1. უნარ-ჩვევები, რომლებიც პროცესს სჭირდება ხშირ შემთხვევაში ცდება მედიატორთა მომზადების საზღვრებს (მაგ., ძალადობის ხარისხის დადგენა, მხარის ქმედუნარიანობის შეფასება); 2. მედიატორის მიუკერძოებლობა, მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარის არგუმენტები მისთვის უფრო დამაჯერებელი ხდება, გააჩნია სიმპათია ან პირიქით ანტიპათია მხარეთა მიმართ; 3. კონფიდენციალურობის დაცვა უკანონო და უსამართლო სამედიატორი მორიგების დროს; 4. მორიგება, როცა ამკარაა ფსიქიკური თუ ფიზიკური იძულების კვალი; მენტალური აშლილობის გამოყენებით ან ინფორმაციის ნაკლებობით გამონვეული; 5. მიუკერძოებლობასა და მართებულ გადაწყვეტილებას შორის ჭიდილი, პროცესის მართვის სურვილი სამართლიანი გადაწყვეტილებისთვის; 6. ნეიტრალურობისა და საჭირო იურიდიული თუ თერაპიული დახმარების საზღვრები; 7. მხარეებისთვის სავარაუდო ზიანი, თუ ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ან თუ შეთანხმება არ აღმოფხვრავს პრობლემას; 8. მედიაციის პროცესის გამოყენება მხარეთა მიერ, როგორც ინფორმაციის მიღების, დროის მოგებისა და მეორე მხარის შანტაჟის საშუალება; 9. მედიატორის ინტერესებსა და მხარეთა სრულფასოვან პროცესს შორის კონფლიქტი (მაგ., როცა სასამართლო აიძულებს მედიატორს სწრაფად დაასრულოს საქმე, ადვოკატების მხრიდან პირადი კონტაქტების გამოყენება).<sup>37</sup>

კატეგორიებად დაყოფა ფაქტობრივია და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთსაც კვეთს, თუმცა, დილემების ამგვარად დიფერენცირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა არის შესაძლებელი: 1. კატეგორიზაცია ეხმარება მედიატორს განსაზღვროს სხვადასხვა სიტუაციური მიდგომა; 2. საჭიროს ხდის შეიქმნას პრაქტიკული „გაიდლაინები“ და შემუშავდეს პროცესების მართვის სტრატეგიები; 3. დილემების უმეტესობა უკავშირდება თვითგამორკვევას, რომელიც მედიატორის მიუკერძოებლობასა

<sup>37</sup> Robert A., Bush B., *The Dilemmas of Mediation Practice: A Study of Ethical Dilemmas and Policy Implications. A report on a Study for The National Institute For Dispute Resolution, NIDR, 1992, 36.*

და ნეიტრალურობას საფრთხის ქვეშ აყენებს.<sup>38</sup> ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ სასამართლო მედიაცია გამოდგება. დღეს, მოდავე მხარეები წარმომადგენლის გარეშე სულ უფრო და უფრო ნაკლებად არიან ჩართულნი სასამართლო მედიაციის პროცესში, შესაბამისად, წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია არა დაახლოება და პრობლემის ძირეული გაანალიზება და აღმოფხვრა, არამედ „ვაჭრობა“ და მორიგება. გარდა ამისა, სასამართლო მედიაციაში იშვიათად თუ შევხვდებით კრეატიულ გადაწყვეტილებებს, რაც გამონეწეულია ადვოკატებისა და მედიატორების „მონდომებით“ ყველაფერი სწრაფად გადაიყვანონ ფინანსურ და სამართლებრივ რელსებზე. აქედან გამომდინარე, მედიაცია უფრო შეფასებითი (evaluative), პროცესზე ორიენტირებული ხდება, ვიდრე ხელისშემწყობი (facilitative).<sup>39</sup>

ეთიკის კოდექსების აბსტრაქტული ხასიათი მხოლოდ მედიაციის დეფინირებას ახდენს, ვიდრე, რეალურად, მხარეებისა და მედიატორისთვის ხელშემკვრელია. აქედან გამომდინარე, ეჭვქვეშ დგება პროცედურულია და სამართლიანი მედიაციის სინთეზი.<sup>40</sup> სწორედ ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, „გაიდლაინების“ ინსპირაციული და მაღალფარდოვანი ენის უკუგდება და მათი ავტორების მხრიდან უფრო პრაქტიკულ სანყისებზე ფოკუსირება. თუ მედიაციის ეთიკის კოდექსი იქმნება მედიატორებისთვისა და მხარეებისთვის, მნიშვნელოვანია იგი შეესაბამებოდეს პრაქტიკულ გამოწვევებს.

თუმცა, ყველაფერი ასე მარტივად არ არის, როგორც ჩანს და ეთიკის კოდექსების რეფორმაცია დანარჩენი დილემების გადაჭრის საშუალებას შესაძლოა არც წარმოადგეს. კიდევ ერთი ეთიკური გამონეწევა დაკავშირებულია მედიატორის პირველად პროფესიულ საქმიანობასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, მედიატორობა ხშირ შემთხვევაში დამატებითი პროფესიული საქმიანობაა, რაც

<sup>38</sup> Heidi N., Burgess G., Glaser T., Yevsyukova M., Transformative Approaches to Conflict. University of Colorado Conflict Research Consortium Transformative Approaches to Conflict, 1996, 34.

<sup>39</sup> Fuller Lon L., Mediation-Its Forms and Functions, 44 S, California Law Rev., 1971, 305.

<sup>40</sup> Robert A., Bush B., The Dilemmas of Mediation Practice: A Study of Ethical Dilemmas and Policy Implications. A report on a Study for The National Institute For Dispute Resolution, NIDR, 1992, 36.

წარმოშობს კონფლიქტს დროის, ჩართულობისა და ინტერესების დიფერენცირების სფეროში.<sup>41</sup> შესაბამისად, შესაძლოა იურიდიულმა ფორმებმა ან კერძო მედიატორებმა ვეღარ მოახერხონ თავიანთი წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელება მათ მიერ მედიაციის პროცესებში მონაწილეობის გამო. მცირერიცხოვან საზოგადოებებში, სადაც მედიატორი შეიძლება საზოგადოების დიდ ნაწილს იცნობდეს, ამგვარი შეზღუდვების დაწესება შეაფერხებს მედიაციის პრაქტიკის განვითარებას.<sup>42</sup> დღემდე უპასუხოა კითხვა, შეუძლია თუ არა არბიტრს იყოს მედიატორი ერთსა და იმავე საქმეში ან პირიქით, მედიატორი არბიტრი?! აქედან გამომდინარე, უმჯობესია საკანონმდებლო გზით შეიზღუდოს მედიატორის უფლებამოსილება – საქმე აწარმოოს სასამართლოში ან არბიტრაჟში, ადვოკატის სტატუსით მედიაციის პროცესის ერთ-ერთი მხარის ინტერესებისთვის.

#### 4. დასკვნა

მედიაციისთვის, როგორც განვითარების გზაზე მდგომი ინსტიტუტისთვის, მნიშვნელოვანია, უფრო ძირეული ცვლილებების განხორციელება როგორც პროფესიონალიზაციის კუთხით, ასევე ეთიკური გამოწვევების დაძლევისათვის. აღნიშნული საქმიანობის მიმზიდველობისთვის მედიატორთა ნაკლები საკვალიფიკაციო მოთხოვნები რისკის ქვეშ აყენებს პროფესიონალიზაციას და მას დამატებითი შემოსავლის წყაროდ აქცევს, რაც შესაძლოა, მედიაციის პროფესიის ერთ-ერთ დაბრკოლებად ჩაითვალოს. გარდა ამისა, აუცილებელია, მეტი კვლევა ჩატარდეს ეთიკური მოდელების სრულყოფისათვის და განხილულ იქნას გამოწვევები თეორიისა და პრაქტიკის შერწყმით კონკრეტული ტერიტორიული და საზოგადოებრივი არეალის გათვალისწინებით. ამის საჭიროებას ცხადყოფს ნაშრომში წარმოდგენილი კოდექსების ანალიზი და ბაზისური პრინციპების კატეგორია, რომელიც ეთიკის სფეროში

<sup>41</sup> *Raines S.S., Pokhrel S.K., Poitras J., Mediation as a Profession: Challenges That Professional Mediators Face, Conflict Resolution Quarterly, Vol. 31, 2013, 94.*

<sup>42</sup> *Gutman J., Grant J., Ethical Conundrums Facing Mediators: Comparing Processes, Identifying Challenges and Opportunities, La Trobe Law and Justice Research Paper Series, 2017, 105.*



არსებულ ბევრ კითხვას უპასუხოდ ტოვებს. ეთიკის კოდექსების რეფორმაცია, დამატებითი გაიდლაინების შემოტანა და ინსპირაციული და მაღალფარდოვანი ენის უკუგდება, მედიაციის განვითარებაზე ზედამხედველობა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება პროფესიონალიზაციის კუთხით.

მედიაციის მომავალისთვის აუცილებელია, პრაქტიკოსებისა და პოლისის შემქნელების სრული ფოკუსირება კოოპერაციაზე. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევების პრაქტიკული გამოწვევები აშკარას ხდის, რომ რეგულაციების შექმნისას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკოსი მედიატორების ინტერესებს. შებოჭვის ნაკლებობამ და ქცევის სტანდარტების არასავალდებულოობამ შესაძლოა მედიატორი შეცდომაში შეიყვანოს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას. მიუხედავად იმპროვიზაციის უდიდესი როლისა მედიაციის პროცესში, ეთიკური გამოწვევების ანალიზით ნათელია სტანდარტიზაციისა და სრუქტურირების საჭიროება, რათა ხელი შეეწყოს სამედიატორო საქმიანობის განხორციელებას ნაკლები ეთიკური დილემებით.

და ბოლოს, „მე მესმის თქვენი.“ რამდენად ახერხებს მედიატორი მოსმენას და თანაგრძნობას რეალურად? ახდენს თუ არა პირადი მოტივები გავლენას მედიატორზე? აქვს თუ არა უფლება მედიატორს, რომელიც განქორწინებულია ან ცოტა ხნის წინ ავტოავარიის თანაავტორი იყო, მონაწილეობა მიიღოს მსგავს საქმეში, როგორც მედიატორმა? – ეს ის კითხვებია, რომელთაც სამართლებრივი აქტები ვერ მოაწესრიგებს.

„ყველაზე ძლიერ იარაღს, რომელსაც ჩემი კლიენტებისთვის ვიყენებ არის ის, რომ ვეუბნები: მე გისმენთ ყურადღებით და მე მესმის თქვენი“ – ამბობს ერთ-ერთი ამერიკელი მედიატორი ჯოი ს. როდენტალი.<sup>43</sup> „გისმენთ“ და „მესმის“ არის ის, რასაც მხარეები ითხოვენ. მხარდაჭერა და თანაგრძნობა პროცესში, სტრუქტურირებული ტრენინგები და მინიმალური სტანდარტები – ეთიკის დილემების გადასაჭრელად შემოთავაზებული გზები პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების მხრიდან ყურადღებას საჭიროებს.

---

<sup>43</sup> Rosenthal J., I Hear You, Joy Rosenthal's blog, 2017.



### ბიბლიოგრაფია

1. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მერიდიანი, თბ., 2012, 24.
2. Belgian Code of Ethics for Accredited Mediators by Federal Mediation Commission in 2007.
3. Code of Ethics for Lawyers-Mediators by Czech Bar Association.
4. U.S Code, Title 29, Chapter 7, Subchapter III, §172, Federal Mediation and Conciliation Service.
5. *Armengol V.F.*, The principles of mediation and the role of third parties in peace processes, Norwegian Peacebuilding Resource Centre Report, September 2013, 5.
6. *Astor H., Chinkin C.*, Dispute Resolution in Australia, Butterworths, 2<sup>nd</sup> ed., 2002, 10, 14.
7. *Burns R.J., Jr.*, Mediation Techniques and Why Honesty is Always the Best Policy, Perry Dampf Dispute Solutions Report, 2014, 7.
8. *Burns R.P.*, Some Ethical Issues Surrounding Mediation, Fordham Law Review, Vol. 70, Issue 3, 2001, 695.
9. *Crowe J.*, Mediation Ethics and the Challenge of Professionalisation, Bond Law Review Vol. 29, Issue 1, 2017, 6.
10. *Della Noce D.J.*, Evaluative Mediation: in Search of Practice Competencies, Conflict Resolution Q. 193, 2009, 43.
11. Ethical Guidelines for Mediators in Australia by The Law Council of Australia.
12. *Fisher R., William U.*, Getting to YES, Negotiating Agreement Without Giving In, 2<sup>nd</sup> ed., Harvard Negotiation Project, Penguin Books, New-York, 1991, Introduction, 7, 10.
13. *Gerald H.*, ADR in Business, Practice and Issues across Countries and Cultures, Kluwer Law International, New-York, 2006, 35.
14. *Greenberg E.*, Confidentiality: The Illusion and the Reality –Affirmative Steps for Lawyers and Mediators to Help Safeguard Their Mediation Communications, NYSBA New York Dispute Resolution Lawyer, Spring 2013, Vol. 6, No. 1, 10.
15. *Guillemin J.F.*, Reasons for Choosing Alternative Dispute Resolution, ADR in Business-Practice and Issues across Countries and Cultures, Vol. 2, Kluwer Law International BV, The Netherlands, 2011, 35.
16. *Harman J.*, From Alternative to Primary Dispute Resolution: The Pivotal

- Role of Mediation in (and in Avoiding) Litigation, Speech Delivered at National Mediation Conference, Melbourne, Australia 2014, 7.
17. *Hedeen T., Raines S., Barton A.B.*, Best Practices for mediation training and regulation: preliminary findings, Association of Family and Conciliation Courts, 2011, 112.
  18. *Hoffman D.A.*, Ten Principles of Mediation Ethics, Boston Law Collaborative Journal, 2005, 56, 58.
  19. *Kressel K.*, The Strategic Style in Mediation, Wiley Periodicals, Inc., and the Association for Conflict Resolution, 2007, 12.
  20. *Luban D.*, Lawyers and Justice: An Ethical Study, Princeton University Press, 1988.
  21. *Moore Ch.W.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, 4<sup>th</sup> ed., 2003, 17.
  22. *Nolan-Haley J.*, Self-Determination in International Mediation: Some Preliminary Reflections, Fordham University School of Law, 2007, 3-4.
  23. *Parker Ch.*, Regulation of the Ethics of Australian Legal Practice: Autonomy and Responsiveness, 25 University of New South Wales Law Journal, 2002, 676.
  24. *Parker Ch., Evans A.*, Inside Lawyers' Ethics, Cambridge University Press, 2<sup>nd</sup> ed., 2014, 3.
  25. *Raines S.S., Pokhrel S.K., Poitras J.*, Mediation as a Profession: Challenges That Professional Mediators Face, Conflict Resolution Quarterly, Vol. 31, no.1, Fall 2013, 79, 81, 84.
  26. *Sander F.*, Headline Test, Dispute Resolution Magazine, Vol. 19, Number 1, Fall 2012, 14.
  27. *Simon W.*, The Practice of Justice: A Theory of Lawyers' Ethics, Harvard University Press, 1998.
  28. *Stitt, A. J.*, Mediation: a practical Guide, Cavendish Publishing, London, 2004, 1.
  29. UIA Forum of Mediation Centers, Practice Guideline 1: Confidentiality in Mediation, Good Practices in Confidentiality adopted in Dublin, 7-10 September, 2007, 1.
<sup>21</sup> *ჩიტაშვილი ნ.*, ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, *ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“*, №2, თბ., 2016, 30-31.

ლი, მედიატორი. ასევე კონფერენციას ესწრებიან არასრულწლოვნის დამცველი, პროკურორი, სოციალური მუშაკი. ქვემოთ უშუალოდ განვმარტავთ თითოეულ სუბიექტს.

#### 4.1 მედიატორი

მედიაციის კონფერენციას წარმართავს მედიატორი – ნეიტრალური, დამოუკიდებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, პროფესიონალი, რომელიც შესაბამისი მეთოდის გამოყენებით ცდილობს მხარეთა რეალური (და არა მხოლოდ სამართლებრივი) ინტერესების გამოვლენას, მათ ერთმანეთთან დაახლოებას და ამ გზით ორივე მხარისათვის სამართლიანი, ღირსეული და მომგებიანი შედეგის მიღწევას.<sup>22</sup> აღსანიშნავია, რომ მედიატორის „დეფინიცია და როლი მედიაციის პროცესში განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის მედიაცია გამოიყენება, რა არის მედიაციის პროგრამის მიზანი, ან როგორია ადგილობრივი პრაქტიკა. მაგალითად: ფლორიდის სტატუტის მიხედვით მედიატორი არის პირი, რომელიც ეხმარება მხარეებს გამოკვეთონ მათი ინტერესები, ერთად მივიდნენ პრობლემის გადაჭრის გზამდე, მხარეებს აწვდის დავის გადანყვეტის სხვადასხვა ალტერნატიულ გზას, თუმცა არ არის შეზღუდული მხოლოდ ამ ფუნქციით.“<sup>23</sup>

მედიატორის ქმედებაზე მედიაციის პროცესში გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, მათ შორის, მისი პიროვნება, პროფესიონალური უნარები, გამოცდილება, განათლება მედიაციის სფეროში, მსოფლმხედველობა, რწმენა, წარმოდგენები და მიდგომები მედიაციის პროცესისადმი, მედიატორის პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიული რეგულაციის ნორმები და კანონები, რაც „მედიაციის ბაზარზე“ მოქმედებს.<sup>24</sup>

<sup>22</sup> „მედიაცია მოაგვარე დავა შეთანხმებით“ გვერდი 13 (ბროშურა), <[http://www.library.court.ge/upload/mediacia\\_triplet\\_flyer\\_9\\_2013.pdf](http://www.library.court.ge/upload/mediacia_triplet_flyer_9_2013.pdf)>.

<sup>23</sup> შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, ფრაიბურგი, სტრასბურგი, თბ., 2016, 124.

<sup>24</sup> ცერცვაძე გ., არევიძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის

#### 4.1.1 მედიატორისათვის წაყენებული მოთხოვნები

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად: მედიატორები, რომლებიც მონვეულნი არიან საზოგადოების ყველა წრიდან, უნდა ფლობდნენ კარგ ცოდნას ადგილობრივი კულტურისა და საზოგადოების შესახებ. სამედიატორო უფლებამოსილების განხორციელებამდე მედიატორები გადაიან ტრენინგებს, რომელთა მიზანია მაღალი დონის ცოდნის მიწოდება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: კონფლიქტის მოგვარების უნარები, სპეციფიკური მოთხოვნები დაზარალებულებსა და დამნაშავეებთან მუშაობისათვის და ძირითადი ცოდნა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ.<sup>25</sup>

„მედიატორი მედიაციის განხორციელების პროცესში უნდა იყოს: ნეიტრალური და არა (რომელიმე მხარისადმი) მიკერძოებული; მხარეების ინტერესების მკვლევარი და არა (რომელიმე მხარის) ინტერესების წარმომადგენელი; მედიაციის პროცესზე პასუხისმგებელი; კრეატიული და არა – პრეტენზიული; მონაწილეთა პიროვნების პატივისცემელი და არა ყველა საშუალების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული, კომუნიკაბელური და არა – ჩაკეტილი; მომთმენი და არა – სულსწრაფი.“<sup>26</sup> ამასთან, უმნიშვნელოვანესია მედიატორის უნარი, შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნევოს მხარეები, ხელი შეუწყოს მათ საკუთარი აზრისა თუ პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირი დიალოგის წარმოებაში.<sup>27</sup>

---

ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 124, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>.

<sup>25</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (99) 19 წვერი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 15 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების №679 შეხვედრაზე).

<sup>26</sup> შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრას-ბურგი, 2016, 116.

<sup>27</sup> იხ., <<http://ganrideba.ge/?action=page&pid=46&lang=geo>>.

#### 4.1.2 მედიატორის როლი მედიაციის პროცესში

მედიატორის როლის ამომწურავი განსაზღვრა საკმაოდ რთულია. იგი დგინდება ყოველი საქმიდან გამომდინარე. ამიტომ იგი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ანალიზისა და შეფასების შემდეგ განსაზღვრავს თავის როლს მედიაციის პროცესში.<sup>28</sup>

სანამ მედიაცია დაიწყება, მედიატორები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საქმის ირგვლივ არსებული ყველა შესაბამისი ფაქტის შესახებ და მათ უნდა მიენოდოთ საჭირო დოკუმენტები შესაბამისი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოთა მიერ. მედიაცია უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად და უნდა ეფუძნებოდეს საქმის შესახებ ფაქტებს და მხარეთა საჭიროებებს ისევე, როგორც მათ სურვილებს. მედიატორი უნდა იყოს ყურადღებიანი მხარეთა მოწყვლად ფაქტორებზე. მედიაცია უნდა განხორციელდეს ეფექტურად, მაგრამ იმ ტემპით, რომ მხარეთათვის იყოს მოსახერხებელი.<sup>29</sup>

#### 4.2 პროკურორი/სოციალური მუშაკი

ლეგალურობის პრინციპის მიხედვით პროკურატურა, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა, წყვეტს საკითხს მიიღოს თუ არა არასრულწლოვანმა მონაწილეობა მედიაციაში. პროკურორი სისხლის-სამართლებრივი დევნის დანაშაულის/არდანაშაულის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჯარო ინტერესს.<sup>30</sup>

მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდანაშაულის შესახებ, იგი მის მიერ არჩეული ფორმით და სინშირით, თვალყურს ადევნებს არასრულ-

<sup>28</sup> Roles of the Mediator, Mediate.com – everything mediation, <[https:// www.mediate.com/divorce/pg31.cfm](https://www.mediate.com/divorce/pg31.cfm)>.

<sup>29</sup> შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, ფრაიბურგი, სტრასბურგი, თბ., 2016, 116.

<sup>30</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 52.

ნლოვნის მიერ ხელშეკრულების შესრულებას, ყოველდღიურად ეცნობა სოციალური მუშაკის/პრობაციის ოფიცრის ანგარიშს, საჭიროების შემთხვევაში ესაუბრება დამნაშავეს და მის მშობლებს (კანონიერ წარმომადგენელს) არსებული პროგრესისა და პრობლემების შესახებ. პროკურორი უფლებამოსილია თავად გადაამოწმოს ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პროკურორი აუქმებს ან ძალაში ტოვებს გადანყვეტილებას, ცვლის ღონისძიებას ან/და აგრძელებს ხელშეკრულების ვადას. გადანყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს ან განაახლოს არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადანყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი დაუკავშირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და გადასცემს არასრულწლოვნის საქმეს.<sup>31</sup>

რაც შეეხება არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობას, იგი მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი უნარების და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდება/განრიდება და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შემუშავებას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, შეფასების დასკვნასა და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს, რომლებშიც მიეთითება, თუ რა კონკრეტული პირობების შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას. დასკვნის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან და მედიაციის შემთხვევაში მედიატორთან ერთად ადგენს ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას ისინი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს სოციალურ

<sup>31</sup> იხ., <[http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=11&lang=geo](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=11&lang=geo)>.

ინტეგრაციის მიზანმიმართულ მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.<sup>32</sup>

როგორც პროკურორი, აგრეთვე სოციალური მუშაკი, ვალდებული არ არიან მონაწილეობა მიიღონ მედიაციის კონფერენციაში. აღნიშნული მათ სურვილზეა დამოკიდებული.

### 4.3 დაზარალებული

„ბოდიშს დიდი ძალა აქვს: ძალადობის გარეშე აგვარებს კონფლიქტებს, სპობს ერებს შორის განხეთქილებას, მთავრობას ეხმარება მოსახლეობის ტანჯვის დანახვაში და ხელს უწყობს პირადი ურთიერთობების მოგვარებას“

**დებორა ტანენი**

სისხლის სამართალში დაზარალებული შეზღუდული უფლებებით სარგებლობს, მედიაციის პროგრამის დროს კი იგი აქტიურად ერთვება პროცესში და ეძლევა საშუალება მისი აზრი უფრო მეტად იქნას გათვალისწინებული.<sup>33</sup>

არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. მსხვერპლი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება ან სახელმწიფო. დანაშაულის მსხვერპლი, განიცდის ეკონომიკურ ზარალს, სოციალურ, მორალურ, ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს, რომელიც დამნაშავეს რესოციალიზაციის გამო სახელმწიფო კონტროლის ორგანოების (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, სასჯელაღსრულების სისტემა) მხრიდან იგნორირებულია, მათ ავინყდებათ, რომ დანაშაულის მსხვერპლიც მოითხოვს საზოგადოებაში „კვლავ დაბრუნებას“. დაზარალებულთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნაა ზიანის სრულყოფილი ანაზღაურება. მათ სურთ დარწმუნდნენ, რომ მომხდარ დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალი არ მიუძღვით და რომ დამნაშავე მისხვდა მის შეცდომას, გაიაზრა, რომ საზოგა-

<sup>32</sup> იხ., <[http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=11&lang=geo](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=11&lang=geo)>.

<sup>33</sup> ცერცვაძე გ., არევიძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ყიფიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 109, <<http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf>>.

დოების მხრიდან დასაგამობი ქმედება ჩაიდინა და ინანიებს მას. ამ ყოველივეს კი მედიაციის პროცესი უზრუნველყოფს, მხარეთა შორის დიალოგის დანყების მეშვეობით.

#### **4.4 არასრულწლოვანი/კანონიერი წარმომადგენელი/ადვოკატი**

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.<sup>34</sup> ხოლო „კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი არის ის პირი, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან დამნაშავედაა მიჩნეული მის დარღვევაში. გულისხმობს მსჯავრდებულ, ბრალდებულ, პრობაციონერ და განრიდებულ მოზარდებს.“<sup>35</sup>

არასრულწლოვნის მონაწილეობა მედიაციის პროცესში უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. კონფერენცია, რომელიც აღმზრდელობითი/პედაგოგიური ხასიათს ატარებს, მიზნად ისახავს არასრულწლოვნის გამოსწორებას სისხლის სამართლის საქმის წარმოების გარეშე. იგი საშუალებას აძლევს მედიაციის მონაწილეებს, დაფიქრდნენ საკუთარ საქციელზე. დამნაშავე მიხვდეს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. მედიაცია უზრუნველყოფს მონაწილეთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც გამოიხატება მხარეთა მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაში, როგორც დაზარალებულის ასევე დამნაშავის რესოციალიზაციაში, დამნაშავე არასრულწლოვნის სხვა უცხო პირებთან ურთიერთობის სწავლასა და საზოგადოებაში აღიარებული ნორმების პატივისცემაში.<sup>36</sup>

კანონიერი წარმომადგენელია არასრულწლოვნის ახლო ნა-

<sup>34</sup> ამკ-ის მუხლი 3.1.

<sup>35</sup> სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევნიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან, <[http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/sajaro/J1%20Standards\\_Final.pdf](http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/sajaro/J1%20Standards_Final.pdf)>.

<sup>36</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექ-



თესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.<sup>37</sup> ახლო ნათესავში იგულისხმება არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).<sup>38</sup>

კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა მედიაციის კონფერენციაში ფსიქოლოგიურ მხარდამჭერას წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის, ამიტომაც მისი დასწრება სავალდებულოა. თუმცა, საკითხავია რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ისეთ არასრულწლოვანს, რომელსაც არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია. კანონი ღიად ტოვებს საკითხს, თუ ვინ უნდა დაესწროს მედიაციას ამ დროს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მედიაციის კიდევ ერთი მონაწილე – ადვოკატი. მედიაციის პროცესში, იქიდან გამომდინარე, რომ მედიატორი ორივე მხარისთვის სასარგებლო და მისაღები შეთანხმების მიღწევის გარანტიად გვევლინება, აუცილებლობას არ წარმოადგენს ადვოკატის მონაწილეობა, მით უმეტეს იმ შემთხვევაში თუკი დამცველი ცდილობს საკუთარი აზრი მოახვიოს თავის კლიენტს ჰონორარის გამართლების მიზნით.<sup>39</sup>

## 5. მედიაციის პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

მედიაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ხორცილდება შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა, ნებაყოფ-

---

ტები, თბ., 2013, 110.

<sup>37</sup> ამკ-ის მუხლი 3.11.

<sup>38</sup> იქვე, მუხლი 3.19.

<sup>39</sup> შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 59.



ლობითობა, პროპორციულობა, კონფიდენციალურობა, სტიმულაციის დაუშვებლობა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება,<sup>40</sup> მხარეების პირდაპირი მონაწილეობა.<sup>41</sup> ფუნქციური დანიშნულების მიხედვით აღნიშნული პრინციპები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. პრინციპები რომლებიც ახასიათებს მედიაციის განხორციელების ორგანიზების თავისებურებებსა და მონაწილეთა სტატუსს (ორგანიზაციული პრინციპები); 2. პრინციპები, რომლებიც ახასიათებს თავად მედიაციის განხორციელების წესს (პროცედურული პრინციპები). პირველ ჯგუფს განეკუთვნება ნებაყოფლობითობისა და ნეიტრალურობის პრინციპები, ხოლო მეორე ჯგუფს – კონფიდენციალურობის, მხარეთა დამოუკიდებლობის, თანამშრომლობისა და თანასწორობის პრინციპები.<sup>42</sup>

მედიაციის პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება. მხარეები უფლებამოსილი არიან, ნებისმიერ ეტაპზე თქვან უარი განრიდების/მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. ნებაყოფლობითობის გარეშე შეუძლებელი იქნება იმ მიზნების მიღწევა, რომლებსაც პროგრამა გულისხმობს. მეტად მნიშვნელოვანია დაზარალებულის გაცნობიერებული თანხმობა მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე. სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო მედიატორის როლისა და ჩართულობის გაზრდა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში. დღეისათვის, პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ მედიატორები მუშაობის პროცესში დიდ დროსა და ძალისხმევას უთმობენ დაზარალებულის მიერ მისი როლისა და ფუნქციის გაცნობიერებას.

პროპორციულობის პრინციპის თანახმად, არასრულწლოვნისათვის დაკისრებული ვალდებულებები ჩადენილი ქმედების პრო-

<sup>40</sup> ჯავახიშვილი ლ., არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016, 182.

<sup>41</sup> *Westerfield R.*, When is the Right Timing for a Mediation, *Resolushion Disputes Worldwide*, 2013, 1, <<https://www.jamsadr.com/files/uploads/documents/articles/westerfield-timing-mediation-abtl-2013.pdf>>.

<sup>42</sup> *კობრიძე ლ.*, სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2013, 21.

პორციული უნდა იყოს. ზემოთქმული პრინციპი უზრუნველყოფს იმას, რომ არასრულწლოვანს არ დაეკისროს სასჯელზე უფრო მკაცრი ღონისძიება.<sup>43</sup>

კონფიდენციალურობა მედიაციის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი პრინციპია, „თვით სამართლიანობა მოითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას“.<sup>44</sup> მედიატორის მიერ მედიაციასთან დაკავშირებული დუმილის შენარჩუნების ვალდებულება გამომდინარეობს მხარეთა და მედიატორთა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან.<sup>45</sup> მედიატორი არ შეიძლება იქნას დაკითხული იმ საქმეზე, რომელზეც იგი ახორციელებდა მედიაციას.<sup>46</sup> კონფიდენციალურობა ერთ-ერთი საფუძველია იმისა, რომ არ მოხდეს არასრულწლოვანის სტიგმატიზაცია. სწორედ კონფიდენციალურობის დაცვისა და სტიგმატიზაციის დაუშვებლობის პრინციპებია ის უმთავრესი და ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც იცავენ არასრულწლოვანს და ასეთ დიდ მნიშვნელობას სძენენ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას.

სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ნორმები ითვალისწინებს „არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს“.<sup>47</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში უნდა განიმარტოს რო-

---

<sup>43</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანება „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლი.

<sup>44</sup> *თვაური რ.*, კონფიდენციალური პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდელე“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015, 27.

<sup>45</sup> *კერცვაძე გ.*, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35.

<sup>46</sup> იხ., <[http://www.library.court.ge/upload/mediacia\\_triplet\\_flyer\\_9\\_2013.pdf](http://www.library.court.ge/upload/mediacia_triplet_flyer_9_2013.pdf)>.

<sup>47</sup> იხ., <<http://legalmatch.typepad.com/criminallaw/2014/11/can-alternative-dispute-resolution-fix-the-juvenile-justice-system.html>>.

გორც მისი უფლება: იყოს დაცული, ჰქონდეს უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განცდა; ასევე უნდა იყოს დაცული მისი ჯანმრთელობის, განათლებისა და განვითარების უფლებები; უმთავრესი ამოსავალი ნერტილია ბავშვის რეალიზაცია-რეაბილიტაცია და საზოგადოებაში მისი სრულფასოვან ნევრად დაბრუნება.<sup>48</sup> „ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა“.<sup>49</sup> აღნიშნული დეფინიცია არ იძლევა სრულყოფილ და ამომწურავ განმარტებას, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიმღებ პირს უტოვებს ფართო დისკრეციას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განსაზღვროს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.<sup>50</sup>

## 6. მედიაციის პროცესის შედეგი – მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება

„მედიაციის წარმატებით დასრულება აუცილებლად უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით. ეს შეთანხმება ჩვეულებრივი ხელშეკრულებაა“.<sup>51</sup> ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი, რომელიც, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქმეს კვლავ პროკუროს

<sup>48</sup> თვაური რ., კონფიდენციალური პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015, 29.

<sup>49</sup> ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბ., 2017, 73.

<sup>50</sup> შეკილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, თბ., 2016, №2, 284.

<sup>51</sup> კერცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 200.

უბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია, ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვნის მიმართ.<sup>52</sup>

განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მიზანია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან პირის განრიდება და მისთვის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების ვალდებულების დაკისრება. ხელშეკრულება აგრეთვე ასახავს განრიდებულსა და დაზარალებულს შორის პირდაპირი დიალოგის და მორიგების პირობებს. მედიატორი კონფერენციის მონაწილეებს დეტალურად აცნობს ხელშეკრულების პირობებს და რწმუნდება, რომ პირობა გასაგები და მისაღებია ყველა მონაწილისათვის. ამის შემდეგ მონაწილეები აკეთებენ კომენტარებს და ახსნა-განმარტებებს. საჭიროებისამებრ, შესაძლებელია, მხარეებმა შეიტანონ ცვლილებები ხელშეკრულების პირობებში. აღნიშნული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა მხარისა და აგრეთვე პროკურორისა და სოციალური მუშაკის თანხმობით. კონსენსუსის მიღწევის შემდეგ მედიატორი ასრულებს განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობას. ხელშეკრულების ტექსტი ასახავს კონფერენციის შედეგებს. მედიატორი არიგებს ხელშეკრულების პროექტს და მონაწილეებს აძლევს დროს, რომ გაეცნონ ხელშეკრულების ტექსტს. მონაწილეებს აქვთ კითხვების დასმისა და განმარტებების მიღების უფლება. კონფერენცია სრულდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.<sup>53</sup>

თუ რა სახის ვალდებულებები შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვანს, ამის საილუსტრაციოდ გვსურს მოვიყვანოთ განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2017 წელს. 15 წლის არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. არასრულწლოვანი მალაზიიდან აშკარად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა სხვა პირის

<sup>52</sup> იხ., <[http://ganrideba.ge/?action=page&p\\_id=1061&lang=geo](http://ganrideba.ge/?action=page&p_id=1061&lang=geo)>.

<sup>53</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის ბრძანება #384/ს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესის და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 10.

საფულეს, რომელშიც მოთავსებული იყო პირადობის დამადასტურებელი მონმობა, პლასტიკური ბარათები და ფულადი თანხა 120 ლარი. ხელშეკრულებით ამ არასრულწლოვანს დაეკისრა შემდეგი ვალდებულებები: ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაციის ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამაში ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით (8-10 სესია); ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ რეკრეაციულ სპორტულ და კულტურულ აქტივობებში; გაიაროს ინდივიდუალური სესიები პრობაციის სოციალურ მუშაკთან თემაზე: „ცხოვრებისეული ფასეულობები“ (7 სესია); გაიაროს ინდივიდუალური სესიები პრობაციის სოციალურ მუშაკთან თემაზე: „მომავლის დაგეგმვა“ (7 სესია); პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკის დახმარებით გაეცნოს საქართველოს კანონმდებლობიდან მის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებულ ნაწილს; ხელშეკრულებით დადგენილი ორგანიზაციის პერსონალს დაეხმაროს საჭირო საქმეების მოგვარებაში (კვირაში 1 დღე); ამკ-ის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად აეკრძალოს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, კერძოდ 23:00 საათიდან 07:00 საათამდე საცხოვრებლის დატოვება.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ კონკრეტული ხელშეკრულება უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაციას (კვირაში ერთი დღით პერსონალის დახმარება ემსახურება საზოგადოებასთან ურთიერთობის, ახალი ნაცნობების შექმნის ხელშეწყობას) და ამასთან არასრულწლოვნის სესიებზე დასწრების დავალდებულება პედაგოგიურ (აღმზრდელობით) ხასიათს ატარებს. რაც შეეხება შინიდან გასვლის აკრძალვას პრევენციული მიზანი აქვს, ისევე როგორც სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. ხოლო კულტურულ და სპორტულ აქტივობებში ჩართვა, ვფიქრობთ, რომ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის „კრიმინალური ენერჯისაგან“ გათავისუფლებას და ახალი ინტერესების გაჩენას.<sup>54</sup>

<sup>54</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დანაშაულის პრევენციის ცენტრისაგან გამოთხოვილი ხელშეკრულება განრიდებისა და მედიაციის შესახებ, № 684.

## 7. სტატისტიკა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონში მედიაციის შემოღებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო კანონმდებელმა. თუმცა საკანონმდებლო მონესრიგებასთან ერთად მნიშვნელოვანია, თუ რამდენად წარმატებით ხორციელდება მედიაცია პრაქტიკაში. აღნიშნულის დადგენა შესაძლებელია ქვემოთ წარმოდგენილი სტატისტიკით.<sup>55</sup>

წარმატებით დასრულებული მედიაციის მაჩვენებელი განრიდებულთა რაოდენობის მიხედვით. (საქმეებში სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობა)

	2014 წლის 6 თვე	2015 წლის 6 თვე	2016 წლის 6 თვე	2017 წლის 6 თვე
წარმატებით დასრულდა	16% (13 მედიაციის კონფერენცია)	59% (71 მედიაციის კონფერენცია)	42% (105 მედიაციის კონფერენცია)	37% (143 მედიაციის კონფერენცია)

მედიაციის მაჩვენებელთან დაკავშირებული მონაცემები  
2017 წელს (6 თვე)

მიზეზი	რაოდენობა	პროცენტული მაჩვენებელი
დაზარალებული არ არსებობდა	22	7%
მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა	115	36%
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა	183	56%
სხვა	4	1%
სულ	500	

<sup>55</sup> ვრცლად: განრიდების პროგრამების (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის) 2017 წლის 6 თვის (იანვარი-ივნისი) ანგარიში, <[http://ganrideba.ge/res/files/52/Report\\_2017\\_%20month\\_Diversion%20and%20Mediation.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Report_2017_%20month_Diversion%20and%20Mediation.pdf)>.

მედიაციის მაჩვენებლები (2014-2017 წლების მონაცემები)

	2014 წლის 6 თვე	2015 წლის 6 თვე	2016 წლის 6 თვე	2017 წლის 6 თვე
განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 21 წელს მიუღწეველი პირები	113 საქმე	146 საქმე	320 საქმე	500 საქმე
სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობები	107 საქმე	146 საქმე	302 საქმე	474 საქმე
მედიაცია შედგა	17 საქმე	86 საქმე	128 საქმე	176 საქმე
პროცენტული მაჩვენებელი	16%	59%	42%	37%

დაზარალებულთა მონაცემები

	14-დან 18 წლამდე განრიდებუ- ლები	18-დან 21 წლამდე განრიდებუ- ლები	14-დან 21 წლამდე განრიდებულები
იურიდიული პირი	136	134	270
ფიზიკური პირი	107	101	208
დაზარალებულის გარეშე	10	12	22

2017 წლის სტატისტიკური მონაცემები საოლქო პროკურატურების მიხედვით<sup>56</sup>

პროკურატურის დასახელება	რაოდენობა
დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა	8
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურა	1
სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა	0
ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა	2
ქ. თბილისის საოლქო პროკურატურა	21
შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის საოლქო პროკურატურა	4
კახეთის საოლქო პროკურატურა	1
სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა	3
მთავარი პროკურატურა	16

<sup>56</sup> ვრცლად რაიონული პროკურატურის მონაცემები იხილეთ, <[http://ganrideba.ge/res/files/52/Report\\_2017\\_%20month\\_Diversion%20and%20Mediation.pdf](http://ganrideba.ge/res/files/52/Report_2017_%20month_Diversion%20and%20Mediation.pdf)>.

## 8. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი საუკეთესო საშუალებად გვესახება არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. იგი უზრუნველყოფს არა მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის, არამედ დაზარალებულის ჩართულობას და მისი უფლებების დაცვას. მედიაციას აღმზრდელობითი, პედაგოგიური ხასიათი აქვს.

მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ წარმატებით დასრულებულ მედიაციათა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც მედიაციის უპირატესობას უსვამს ხაზს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სასამართლოები დღევანდელი მდგომარეობით საქმეთა რაოდენობების მიხედვით გადატვირთულია.

თუმცა, მედიაციის უპირატესობის მიუხედავად, გარკვეული პრობლემური საკითხები არსებობს კანონმდებლობაში. როგორც ზემოთ აღინიშნა კანონმდებლობა ღიად ტოვებს საკითხს კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირებით, როცა არასრულწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი ან მისი ადგილსამყოფელი უცნობია, და როდესაც ადგენს მის სავალდებულო დასწრებას მედიაციის კონფერენციაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მედიატორის ეთიკის ნორმების არარსებობაა, რაც უფრო მეტად მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მედიაციის წარმართვისას, რათა სრულყოფილად იქნეს დაცული ორივე მხარის უფლებები, მოთხოვნები და გამართლდეს მათი მოლოდინები. ამავე დროს აღნიშნული სტანდარტების შემოღება ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ეს ყოველივე კი მომავალში დადებითად აისახება იმ დაზარალებულთა რიცხვზე, რომლებიც მედიაციაში ჩართვაზე უარს აცხადებენ.

ასევე, ვეთანხმებით რა იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებულ მოსაზრებას, ვფიქრობთ, რომ არასრულწლოვნის მედიაციაში ჩართვის დამაბრკოლებელი გარემოება არ უნდა იყოს მისი წარსულში განრიდება/მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა. მედია-



ცია არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთხელ მიცემულ შანსს არასრულწლოვნისათვის.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად წარმატებულ კონფერენციებისა მედიაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში საჭიროებს შემდეგ დახვეწასა და განვითარებას, რადგან იგი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს – არასრულწლოვანთა ინტერესებისა და უფლებების დაცვას ემსახურება.

### ბიბლიოგრაფია

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (გამოცემის თარიღი – 12.06.2015).
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R (99) 19 წვერი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1999 წლის 15 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების № 679 შეხვედრაზე).
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 3 ნოემბრის ბრძანება №384/ს განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მედიატორების საქმიანობის წესის და სამუშაო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე.
4. საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის №29 ბრძანება „განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებების მომზადება-შესრულების პროცესში სოციალური მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“.
5. სტანდარტები ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო მომსახურებების მიმწოდებელთათვის, რომლებიც მუშაობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ ან დევიაციური ქცევის მქონე მოზარდებთან, <[http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/sajaro/JJ%20Standards\\_Final.pdf](http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/sajaro/JJ%20Standards_Final.pdf).
6. გაბუნია მ., ბერიძე თ., მედიაციის კრიმინოლოგიური ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №1, თბ., 2013, 64.

7. გვენეტაძე ნ., კვაჭაძე მ., ნიკლაური-ლამიხი ე., გაბუნია მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება – განრიდება და მედიაცია, თბ., 2012, 145.
8. ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, ჟურნ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბ., 2017, 73.
9. თვაური რ., კონფიდენციალური პრინციპით ბოჭვის სტანდარტი მედიაციის პროცესში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ჟურნ., „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – ნელინდეული“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015, 27, 29.
10. კავთუაშვილი ე., კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი ფსიქოლოგიურ, თეოლოგიურ, პედაგოგიურ და იურიდიულ ჭრილში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (52), თბ., 2016, 97, 98.
11. კობრიძე ლ., სასამართლო მედიაციის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4, თბ., 2013, 21.
12. ოსტერმაილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, თბ., 2014, 124.
13. ქუთათელაძე მ., განრიდება, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (52), თბ., 2016, 108.
14. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, 17, 52, 59, 110.
15. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშულის მსხვერპლის შესახებ, თბ., 2011, 14.
16. შალიკაშვილი მ., მიქაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, ფრაიბურგი, სტრასბურგი, თბ., 2016, 26, 94, 116, 124.
17. შეყილაძე ხ., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 267, 284.

18. ჯავახიშვილი ლ., არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწადეული“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016, 179, 180, 182.
19. ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, თბ., 2016, 29-31.
20. ჩუბინიძე ე., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამომცემელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2012, 60.
21. ცერცვაძე გ., მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 2010, 35, 200.
22. ცერცვაძე გ., არევიძე მ., ვასაძე ე., თვაური რ., ივანიძე გ., მახაური პ., ჟიჟიაშვილი თ., ტაკაშვილი ს., ხუჭუა თ., ჯიბლაძე ბ., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბ., 2013, 109, 124.
23. ხერხეულიძე ი., არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემაში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2012, 292;
24. მედიაცია მოავგარე დავა შეთანხმებით“ გვ. 13 (ბროშურა), <[http://www.library.court.ge/upload/mediacia\\_triplet\\_flyer\\_9\\_2013.pdf](http://www.library.court.ge/upload/mediacia_triplet_flyer_9_2013.pdf)>.
25. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დანაშაულის პრევენციის ცენტრისაგან გამოთხოვილი ხელშეკრულება განრიდებისა და მედიაციის შესახებ, № 684.
26. Chown P.L., Juvenile Justice, The Letric Law Library <<https://www.lectlaw.com/files/cjs08.htm>>.
27. Păroșanu A., Final National Report of Germany – Restorative Justice in Germany, 2013;
28. Westerfield R., When is the right timing for a mediation, Resolushion Disputes Worldwide, 2013, <<https://www.jamsadr.com/files/uploads/documents/articles/westerfield-timing-mediation-abtl-2013.pdf>> .

29. Roles of the Mediator, Mediate.com <[https:// www. mediate. com/ divorce/pg31.cfm](https://www.mediate.com/divorce/pg31.cfm)>.
30. The New German Mediation Act – Paving The Way for Mediation As Established Standard in Dispute Resolution, 2012, <[http://www. shearman.com/~media/Files/Document-Manager-Files-from-BDS/ MediationsG.pdf](http://www.shearman.com/~media/Files/Document-Manager-Files-from-BDS/MediationsG.pdf)>.
31. <[http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final. pdf](http://ncadr.tsu.ge/admin/upload/7706Edited-Final-Version-final.pdf)>.
32. <[http://legalmatch.typepad.com/criminallaw/2014/11/can-alternative- dispute-resolution-fix-the-juvenile-justice-system.html](http://legalmatch.typepad.com/criminallaw/2014/11/can-alternative-dispute-resolution-fix-the-juvenile-justice-system.html)>.
33. <[http://3e-rj-model.web.auth.gr/files/ national\\_ reports/ Germany.pdf](http://3e-rj-model.web.auth.gr/files/national_reports/Germany.pdf)>.
34. <<http://prevention.gov.ge/page/28/geo>>.
35. <[http://www.library.court.ge/upload/mediacia\\_triplet\\_flyer\\_9\\_2013. pdf](http://www.library.court.ge/upload/mediacia_triplet_flyer_9_2013.pdf)>.
36. <<http://ganrideba.ge/>>.

Ekaterine Tsotsoria\*

Nino Mirotadze\*

## Mediation in Juvenile Justice

*The present paper discusses implementation of mediation as alternative justice in juvenile justice, its preconditions, principle, legislative regulations and its gaps. Participants of mediation, their role and rights and obligations. Advantages and last statistics of mediation based on the example of Georgia.*

**Key Words:** *juvenile, diversion, mediation, victim, best interest, conference of mediation, mediator, prosecutor, social worker, legal representatives, latent, prevention, resocialization, stigmatization, confidentiality, ethics of mediation, agreement.*

### 1. Introduction

*The nature of the children is secret of secrets. The child is the human and more difficult it is to know it as it is written with allegory if this is true and not with broad and full letters, as the completed person. We shall not be surprised that what we find in the river, we see it in its source. The child is the source, beginning of the great person.*

*Ilia Chavchavadze*

“Mediation exists as long as the organized society of humans exist.”<sup>1</sup> Disputes of private law were settled by the negotiations with the help of the neutral person. Mediation came from criminal law to private law. According to the recommendation to the EU Council, in criminal law, with traditional

---

\* BA Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Law Faculty.

\* BA Student at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Law Faculty.

<sup>1</sup> *Austermiller S.M., Swenson D.R., Alternative Dispute Resolution: Georgia, Tbilisi, 2014, 124 (in Georgian).*

criminal law proceedings mediation is considered as additional or alternative tool oriented to solve the problem.<sup>2</sup>

There is no winning party in the mediation process. It is the alternative dispute resolution tool promising the parties to settle the dispute by negotiations. This capacity may be considered as one of the reasons that mediation is recognized as the best mean to settle the cases when the accused juvenile is the criminal.

Behavior of the juvenile<sup>3</sup> conflicting with law represents violation of legal, cultural and social norms caused by the teenagers evaluating the events unreally. They take into account subjective, in the present case, requirements of freedom and independence more than objective reflection and evaluation of the reality.<sup>4</sup>

Reasons of behavior of the juveniles conflicting with law are various and multidimensional and obey to objective regulations of the specific historic period affecting dynamics, structure and main tendencies of development of criminality. Therefore, diversion and mediation are second opportunities for juveniles aiming to correct, “label” them, avoid forming as the criminal, fast reintegration into society.

Nowadays, restoration justice is one of actual themes in criminal law as the civilized world agrees that sentencing the person, especially if he/she is the juvenile, shall be replaced by the mean which will not be threat to the social security and will adjust to the condition of the accused.<sup>5</sup> Hence, we think to discuss mediation in juvenile justice, its aims, principle, legislative requirements and how successful was mediation in practice on Georgian example.

---

<sup>2</sup> *Gvenetadze N., Kvachadze M., Tsiklauri-Lamikhi E., Gabunia M., Juvenile Justice – Diversion and Mediation, Tbilisi, 2012, 145 (in Georgian).*

<sup>3</sup> *Kavtushvili E., Juvenile Conflicting with the Law in Psychological, Theological, Pedagogical and Legal Perspective, Journal “Justice and Law”, №4 (52), Tbilisi, 2016, 97 (in Georgian).*

<sup>4</sup> *Ibid, 98.*

<sup>5</sup> *Kutateladze M., Diversion Based on the Best Interest of the Juveniles According to Juvenile Justice Code, Journal “Justice and Law”, №4 (52), Tbilisi, 2016, 108 (in Georgian).*

## 2. Diversion as the Precondition of Mediation

Article 3(7) of the Juvenile Justice Code (hereinafter – JJC) explains diversion. It is the form of releasing from criminal liability, alternative mechanism for criminal prosecution aiming to support respective development of the juvenile and integration into society, avoid repeating the crime. Professionals working on this program toil to the main goal – return the perfect citizen to the society who will not commit the crime.<sup>6</sup> According to the criminological view, theoretical grounds for diversion is normality, episodic nature and spreading to all societies of juvenile crime.<sup>7</sup> For this reason, some authors interpret it as “normal behavior, typical for persons of that age.”<sup>8</sup>

The main goal of diversion is to correct the teenager, protect him/ her from the stigmatization of justice, solve the conflict fast and prevent inevitable process of forming him/her as a criminal in jail, less economic expenses, spending less resources (the opportunity for the prosecutors to spend time on more important cases).<sup>9</sup>

Diversion is used if there is a probable cause that the juvenile has committed less serious or serious crime. Before November of 2014, engaging the juvenile committing the crime in diversion and mediation program was possible only if less serious crime was committed. After November 11, 2014, the program included serious crimes as well.<sup>10</sup> It should be also mentioned that there was a change in June 23, 2011 in the Order N216 of the Minister of Justice dated November 12, 2010 on “Approval of Manual Instructions for Prosecutors Regarding Diversion and Mediation and Main Terms of the

<sup>6</sup> *Javakhashvili L.*, Discussing Juvenile Diversion and Mediation Program, National Center for Alternative Dispute Resolution, Journal “Alternative Dispute Resolution – Annual”, TSU Publishing, Tbilisi, 2016, 180 (in Georgian).

<sup>7</sup> *Shalikhshvili M.*, Juvenile Diversion and Criminal, Criminological and Psychological Aspects of Mediation, Tbilisi, 2013, 17 (in Georgian).

<sup>8</sup> *Kherkheulidze I.*, Juvenile Crime and its Causing Reasons in Juvenile Justice System, Journal “Journal of Law”, №2, Tbilisi, 2012, 292 (in Georgian).

<sup>9</sup> *Shalikhshvili M., Mikadze G.*, Juvenile Justice (Manual), 2<sup>nd</sup> ed., Tbilisi, Fribourg, Strasbourg, Tbilisi, 2016, 94 (in Georgian).

<sup>10</sup> See, <<http://prevention.gov.ge/page/28/geo>>.

Agreement to be Executed between the Parties. According to the change, diversion and/or mediation was subordinated to crimes committed jointly by more than one person<sup>11</sup> which is good. However, law is debatable excluding use of diversion for previously convicted juveniles or juveniles who had previously participated in diversion-mediation.

Before the preliminary hearing, the prosecutor makes a decision regarding diversion. Diversion may be also used after beginning the court proceedings. The court is entitled to use diversion on its own initiative or return the case to the prosecutor based on the well-grounded motion. The prosecutor will offer the juvenile the diversion and in case of consent, will decide on diversions. Before making such decision, the court listens to the position of the other party. Mediator gets involved in the process as soon as the prosecutor decides on diversion which itself increases number of cases finished by mediation.

In case of deciding on diversion, the prosecutor is entitled to execute the diversion or diversion and mediation agreement with the juvenile. If refusing to the diversion of the juvenile, the interview report is made indicating the reasons for refusing the diversion. The report is signed by the prosecutor and the juvenile and/or his legal representative. However, the latter, including the advocate, is entitled to ask the diversion to the superior prosecutor.<sup>12</sup>

Diversion shall be reasonable and proportionate to the committed crime. During the diversion proceedings, it is prohibited to oblige the juvenile to take actions that would violate his dignity and honor, tear him/her away from normal education process and main work, damage his physical and/or mental health. Several diversion actions can be taken together towards the juvenile which shall be determined based on an individual assessment report created according to the legislation of Georgia. In it prohibited to use stricter diversion measure than minimum sanction determined under law.<sup>13</sup>

---

<sup>11</sup> *Shalikashvili M., Mikadze G., Juvenile Justice (Manual), 2<sup>nd</sup> ed.*, Tbilisi, Fribourg, Strasbourg, Tbilisi, 2016, 26 (in Georgian).

<sup>12</sup> Article 39 of JJC.

<sup>13</sup> Article 42 of JJC.



### 3. Mediation – Resolving Conflict by Agreement

Mediation represents the next part of diversion. In order to conduct the mediation process, it is necessary to have the consent of the victim and desire to participate in the mediation process. At the time of diversion, desire of the victim does not make any difference. Hence, we can say that diversion may be conducted without mediation and mediation, as the next step of the diversion, cannot be imagined without diversion.

In Georgia, mediation history of modern criminal law begins from 2010, from undertaking the program of juvenile diversion and mediation. Today, program of juvenile diversion and mediation relies on international experience and general principles of restoration justice.<sup>14</sup>

Mediation is the dialogue process between the juvenile conflicting with law and the victim (Article 3.9 of JJC), led by the mediator – “neutral person chosen by the parties”<sup>15</sup> who aims to reconcile the juvenile and the victim including solving the conflict “outside the justice of criminal law”.<sup>16</sup>

Nowadays, in most countries (including: Canada, England, Finland and United States of America) before the case goes to court, juvenile criminals are entitled to meet their victim during the mediation. Together they discuss: what did the criminal do and why; how did the crime damage the victim; how can the criminal reimburse the damages.<sup>17</sup>

Mediation is divided in two stages: at the first preconference stage, mediator supports beginning the dialogue between the parties. At this stage, the mediator separately talks with the juvenile and victim regarding purpose, goals, rules of mediation and supposed terms of the agreement. The aim of

<sup>14</sup> *Javakhishvili L.*, Discussing Juvenile Diversion and Mediation Program, National Center for Alternative Dispute Resolution, Journal “Alternative Dispute Resolution – Annual”, TSU Publishing, Tbilisi, 2016, 179 (in Georgian).

<sup>15</sup> The New German Mediation Act – Paving The Way for Mediation As Established Standard in Dispute Resolution, 2012, <<http://www.shearman.com/~media/Files/Document-Manager-Files-from-BDS/MediationsG.pdf>>.

<sup>16</sup> *Gabunia M., Beridze T.*, Criminological Aspects of Mediation, Journal “Justice and Law”, №1, Tbilisi, 2013, 64 (in Georgian).

<sup>17</sup> *Chown P.L.*, Juvenile Justice, The Letric Law Library, <<https://www.lectlaw.com/files/cjs08.htm>>.

this stage is to guarantee voluntary and informed participation of the parties in mediation process and reach consensus regarding supposed terms of the agreement. After the preconference stage, mediator leading the conference appoints the meeting for the parties attended by the juvenile, his/her representative, victim, prosecutor and social worker as well. The goal of the conference is to realize the committed crime and its results by the criminal.<sup>18</sup>

It shall be also mentioned that, “institutionalization of mediation puts the agenda on the need to improve legal culture and awareness of the dispute resolution”.<sup>19</sup> Unlike other countries, in Georgia there are no legislative regulations for ethical norms of mediators. This can be considered as the legislative gap of law. Especially ethical norms of mediators discussing the cases of juveniles. “The law in the first place shall secure creating solid guarantees for protecting rights of the juvenile.”<sup>20</sup> Hence, setting standards for ethics of mediator will solve the problem. Ethical norms will guarantee the link between procedural and social justice and also, it will be the guiding compass for the mediator in mediation process. Besides, the parties will be able to use protection mechanisms if the mediator violates ethical obligation.<sup>21</sup>

Persons of mediation are specific in juvenile justice. The interests of the child shall be taken into consideration and the victim shall feel the justice. The mediator shall create the comfortable environment, shall not address the parties severely and rudely, especially when it comes to the juvenile. The ideas and proposals of the mediator shall be didactic for the juvenile and shall create the friendly environment. The juvenile shall feel that by the way of the mediator, the state is talking to him/her and the state agrees to forgive the committed crime, settle and give the chance to correct.

---

<sup>18</sup> *Chubinidze K.*, Diversion and Mediation Process of Juveniles, Materials of II Scientific Conference of Law Students, Publisher Ilia State University, Tbilisi, 2012, 60 (in Georgian).

<sup>19</sup> *Chitashvili N.*, Originality of Certain Ethical Obligations of Advocate-Mediator and Necessity of Regulations, Journal “Law Journal”, №2, Tbilisi, 2016, 29 (in Georgian).

<sup>20</sup> *Shekiladze Kh.*, Essence of the Principle of Priority of Juvenile’s Best Interests, №2, Tbilisi, 2016, 267 (in Georgian).

<sup>21</sup> *Chitashvili N.*, Originality of Certain Ethical Obligations of Advocate-Mediator and Necessity of Regulations, Journal “Law Journal”, №2, Tbilisi, 2016, 30-31 (in Georgian).

## 4. Participants of the Mediation Process

In mediation process, the main participants are juvenile, legal representative, victim, mediator. Protector or juvenile, prosecutor, social worker also attend the conference. Below we will explain each of them separately.

### 4.1 Mediator

Mediation conference is led by the mediator – neutral, independent, qualified, professional who, by using the appropriate method, tries to show the real (and not only legal) interests of the parties, to get them close and by this way to reach the outcome just, worthy and winning for both parties.”<sup>22</sup> It shall be noted that mediator’s “definition and role in mediation process differs depending what type of mediation is used, what is the goal of mediation program or how is the local practice. For example, according to the Statute of Florida, mediator is the person helping the parties to underline their interests, jointly reaching the solution of the problem, gives the parties the alternative way of dispute resolution however, the mediator is not limited only to these functions”.<sup>23</sup>

In the mediation process actions of the mediator are affected by many factors including personality, professional skills, education in mediation sphere, ideology, belief, ideas and point of views towards mediation process, responsibility of the mediator, rules and laws of professional regulation affecting on “mediation market”.<sup>24</sup>

---

<sup>22</sup> „Mediation Solve the Dispute by Agreeing“ page 13 (Brochure), <[http:// www.library.court.ge/upload/mediacia\\_triplet\\_flyer\\_9\\_2013.pdf](http://www.library.court.ge/upload/mediacia_triplet_flyer_9_2013.pdf)> (in Georgian).

